პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 იანვარი ხუთშაბათი 2019
№ 001 (15 506) ფასი 1 ₾

რა მდიდარია ღარიბი საქართველო

## ქულები არის ჩვენი გამხარებელი

ოდესმე, ალბათ, ფულებიც იქნება

# ბედობა დღეს

## ბასილაშვილმა მეორე მატჩი მოიგო და... ჯოკოვიჩზე გავიდა

12






8

დღეს!

6




## პრემიერ ლიგის პრემიერ მატჩი

8



დილა

# გიორბელიძე ორი წლით

გორის "დილამ" ქართული საკლუბო რეალობისთვის გვარიანი ტრანსფერი გაჩარხა. უახლოესი ორი წლის განმავლობაში გუნდის ღირსებას 22 წლის ფლანგელი მცველი **გურამ გიორბელიძე** დაიცავს.

გიორბელიძე ბოლნისის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. კარიერა "სიონის" დუბლებში დაიწყო და მალევე დაწინაურდა ძირითად გუნდში. ბოლო დროს "სიონის" წარმოდგენა მის გარეშე ძალიან ძნელი იყო.

ზუსტად ვიცით, გიორბელიძის გადაბირება რამდენიმე ქართულ კლუბს სურდა და უცხოეთიდანაც ჰქონდა ვარიანტები, მაგრამ მან "დილა" აირჩია. როგორც ჩანს, ლიდერების - **ლეანდრო რიბეიროსა** და **მიკოლა კობტალიუკის** წასვლის მიუხედავად, "დილა" მაინც ბრძოლისუნარიანი გუნდი იქნება და მომავალ სეზონში ევროსაგზურის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გია ცეცაძე** ბოლო შეხვედრებში სისტემატურად უცხადებდა ნდობას გიორბელიძეს და ქვეყნის რანგით მეორე გუნდის რიგებში ჩატარებულ შეხვედრებს თუ გავიხსენებთ, ამ ნდობას ის საკადრისად პასუხობდა და თავი არც შეურცხვენია...

გიორბელიძემ "დილას" ოფიციალურ საიტთან მოკლე კომენტარი გააკეთა: "ძალიან კარგი და ბრძოლისუნარიანი გუნდი იყო "დილა" წინა ჩემპიონატებში და გამონაკლისი არც მომავალი სეზონი იქნება. ვიცი, გუნდს ამბიციური მიზნები ექნება...

კარიერის ამ ეტაპზე "დილა" ჩემი განვითარებისთვის საუკეთესო ადგილი იქნება. გულშემატკივრებს ვაძლევ პირობას, რომ "დილას" წარმატებისთვის ყველა შეხვედრაში 100 პროცენტით დავიხარჯები, რათა ერთად ვიზეიმოთ მომავალი გამარჯვებები. ვისარგებლებ შემთხვევით და თითოეულ მათგანს, სრულიად საქართველოს, მივულოცავ ახალ წელს, მრავალს დაესწარით", - ამბობს გიორბელიძე.

კიდევ ერთი საინტერესო სიახლე "დილასგან". კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა ბრაზილიელმა ცენტრალურმა მცველმა **ერიკს სანტოსმა**. ის "დილაში" გასული სეზონის მსვლელობისას მივიდა და ცუდი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია. უახლოეს მომავალში "დილაში" კიდევ იქნება საინტერესო სატრანსფერო სიახლეები.

**ალეკო კაკაურიძე**




საბურთალო

# ნიკა ჩაირიცხა

"**ტრანსფერმარკტის**" ცნობით, **კონსტანტინ ნიკა** "საბურთალოში" ჩაირიცხა. გერმანული ინტერნეტგამოცემა ამტკიცებს, რომ 25 წლის რუმინელმა ფეხბურთელმა, რომელიც 2014 წელს სერია A-ს ბინადარ "ატალანტას" წევრი იყო, საქართველოს ჩემპიონთან კონტრაქტი უკვე გააფორმა.

"ტრანსფერმარკტის" ცნობით, კონსტანტინ ნიკას სატრასფერო გრაფაში 100 ათასი ევრო წერია. არადა, სულ 5 წლის წინ, როცა ეს ფეხბურთელი სერია A-ს გუნდში ირიცხებოდა, 1.4 მილიონი ევრო ღირდა...

**ნოდარ იაშვილის** ნაცვლად კლუბში მიწვეული რუმინეთის ნაკრებისა და სერია A-ში ნათამაშები რუმინელი მარჯვენა მცველი ქალაქ აფუმანში დაიბადა, ბუქარესტის "დინამოს" საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობდა და კარიერაც ამ კლუბში დაიწყო. იტალიაში, "ატალანტაში" 2013 წლის 11 ივლისს ჩაირიცხა და სადებიუტო შეხვედრა 2013 წლის 18 აგვისტოს იტალიის თასზე ჩაატარა, სადაც "ატალანტამ" "ბარი" 3:0 დაამარცხა.

მაგრამ მერე მარჯვენა მცველი ტრავმებმა გაამწარა და 2014 წლის 11 ივლისს "ჩეზენამ" ნიკა სრული სეზონით დაიმატა, 2016/17 სეზონში "ლატინას" შეუერთდა, ბოლო ორი წელი კი, ასევე იჯარით, ბუქარესტის "დინამოში" გაატარა და მისი სატრანსფერო ფასიც საგრძნობლად დაეცა.

გარდა რუმინელი ფეხბურთელისა, "საბურთალო" კიდევ აპირებს მოთამაშეების მიწვევას და თავდასხმის გაძლიერებას. შეგახსენებთ, რომ კონსტანტინ ნიკაზე ინფორმაცია ახალ წლებამდე "ლელომ" გაავრცელა.

კლუბში გვითხრეს, რომ რუმინელ მცველთან *წინასწარი შეთანხმება არსებობს, ის გუნდს შეკრებაზე უნდა შეუერთდეს, მაგრამ ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებია.* "საბურთალო" შეკრებაზე კიდევ 4-5 ლეგიონერს და პლუს, ქართველ მოთამაშეებსაც ელის. ახალწვეულების წარდგენას კი საქართველოს ჩემპიონი შეკრების შემდეგ გეგმავს.

**სერგო კორძაია**



# გაბედავა ზაგლებიეს ფეხბურთელია

## ეროვნული ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი პოლონეთში ითამაშებს



**გიორგი გაბედავასთვის** 2018 წელი წარმატებული გამოდგა. სფფ-ის მიერ ორგანიზებულ წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე მან 4 ჯილდო მიიღო: ერთი - ეროვნული ლიგის 2018 წლის სეზონში 22 გატანილი გოლისთვის (**ბუდუ ზივზივაძესთან** ერთად "ჩიხურას" თავდამსხმელი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა); მეორე - როგორც წლის საუკეთესო თავდამსხმელმა; მესამე - შ. რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში მას **ჯამლეტ ხუხაშვილმა კოტე მახარაძის** სახელობის პრიზი გადასცა, და ბოლოს მთავარი - ეროვნული ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს (კონკურენტებად ჰყავდა **ლეანდრო რიბეირო** და **ბუდუ ზივზივაძე**). გარდა ამისა, გაბედავა 2018 წლის სეზონის ეროვნული ლიგის სეზონის სიმბოლურ გუნდში დაასახელეს.

*"ტყუილი იქნება, რომ ვთქვა, თითქოს ეს ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია. ეს არის არაჩვეულებრივი და უზომოდ სასიხარულო მოვლენა, რომელმაც კარიერა გამილამაზა. ეს იმის შედეგია, რომ წელი ტრავმების გარეშე ჩავატარე. ჯილდო მარტო მე არ მეკუთვნის, ის საერთო მონდომების შედეგია. ეს "ჩიხურას", ბიჭების, მწვრთნელებისა და ყველა იმ ადამიანის დამსახურებაა, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში გვერდში მედგნენ და მენდობოდნენ"*, - ამბობს გაბედავა.

საქართველოს ეროვნული ლიგის საუკეთესო ფეხბურთელმა არ დამალა, რომ პოლონელთა წინადადებას დათანხმდა და ახალ გუნდში გადასვლა გადაწყვიტა. მან სოსნოვეცის "ზაგლებიესთან" კონტრაქტი უკვე გააფორმა:

*"პოლონეთის ექსტრაკლასას კლუბ სოსნოვეცის "ზაგლებიეში" რომ მიწვევდნენ, ეს რამდენიმე დღის წინ ვთქვი. მათ კონტრაქტი გამომიგზავნეს და რამდენიმე დღე ვფიქრობდი. ეს ყველაზე რეალური შემოთავაზება იყო და საბოლოოდ, დავთანხმდი".*

გაბედავას თქმით, ხელშეკრულება წელიწად-ნახევარზეა გათვლილი და "ზაგლებიეში" 2020 წლის ზაფხულამდე უნდა დარჩეს.

**მერაბ მამულაშვილი**

სამწვრთნელო გადაადგილებები

# თელავში ხომუტოვი, გაგრაში კირკიტაძე

**დენის ხომუტოვი** უკრაინაში არ დაბრუნებულა - ის ახალი წლიდან "თელავს" გაწვრთნის. ინფორმაციას კლუბის ოფიციალური გვერდი ავრცელებს. დასრულებულ სეზონში 39 წლის უკრაინელი სპეციალისტი "გაგრას" ავარჯიშებდა, გუნდი საქართველოს თასის ფინალსა და ეროვნული ლიგა 2-ის პლეი ოფში გაიყვანა. მაგრამ ხომუტოვმა მთავარ მიზანს (ეროვნულ ლიგაში აღზევება) ვერ მიაღწია და დეკემბერში "გაგრა" დატოვა.

ამ პერიოდში უკრაინულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, ხომუტოვი უკრაინულ კლუბს ჩაიბარებდა. საბოლოოდ, მან შეთანხმებას მაინც ქართულ კლუბთან მიაღწია.

ხომუტოვი დონეცკელია და მოთამაშის კარიერა 1994 წელს, დონეცკის "შახტარის" ახალგაზრდულ გუნდში დაიწყო. 2000 წლის შემდეგ უკრაინის სხვადასხვა გუნდშიც ითამაშა: "პოლიგრაფტეხნიკა" (ოლექსანდრია), "ზვეზდა" (კიროვოგრადი), "ნივა" (ვინიცა), "ოლიმპიკი" (დონეცკი), "სტალი" (ალჩევსკი), "სპარტაკი" (სუმი), "უსკ რუბინი" (დონეცკი), "ორლაინი" (დონეცკი), "სმენა" (ბელაია ცერკოვი). კარიერის შემდეგ სერგეი ბუბკას სახელობის ოლიმპიური რეზერვების უმაღლესი სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა.

მოთამაშის კარიერა ხომუტოვმა დონეცკის "ოლიმპიკში" დაასრულა და 2012 წელს სამწვრთნელო საქმიანობა იმავე "ოლიმპიკის" ფარმკლუბ "უსკ რუბინში" დაიწყო, მერე კი იყო "ოლიმპიკის" აკადემია, 2014-იდან 2016 წლამდე "ოლიმპიკის" ასაკობრივი გუნდების (U19 და U21) მთავარი მწვრთნელი გახლდათ, ხოლო 2016/17 წლის სეზონში "ოლიმპიკის" ძირითად გუნდში მთავარი მწვრთნელის ასისტენტი. "გაგრაში" 2017 წელს მუშაობდა და კლუბი სეზონის დასრულებისთანავე დატოვა.

* * *

ეროვნული ლიგის პლეი ოფში ბოლნისის "სიონთან" დამარცხებულ "გაგრას" **გაგა კირკიტაძე** გაწვრთნის - ინფორმაციას კლუბის ვებგვერდი ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ "გაგრას" ავარჯიშებდა **დენის ხომუტოვი**, რომელიც გუნდს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაშორდა. მისი თავკაცობით გუნდი საქართველოს თასის ფინალში გავიდა და ქვეყნის ყოფილ ჩემპიონ ქუთაისის "ტორპედოსთან" მხოლოდ თერთმეტმეტრიანების სერიაში დამარცხდა და საპრიზო ვერცხლის მედლები მოიპოვა. ასევე ერთი ნაბიჯი დააკლდა "გაგრას" ეროვნული ლიგის საგზურამდე. დენის ხომუტოვის ხელმძღვანელობით, გუნდმა რეგულარულ სეზონში მე-3 ადგილი დაიკავა, უახლოესი მდევარი 7 ქულით ჩამოიტოვა და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა, თუმცა "სიონის" ბარიერი ვერ გადალახა და ეროვნული ლიგის საგზურის მოპოვებას უკვე ახალ 2019 წელს შეეცდება. უკრაინელი სპეციალისტი "გაგრას" დეკემბერში დაემშვიდობა და მეორე ქართული კლუბი, "თელავი" ჩაიბარა.


დენის ხომუტოვი

რაც შეეხება გაგა კირკიტაძეს, ის სწორედ საფეხბურთო კლუბ "გაგრას" აღზრდილია. ამ კლუბში დაიწყო მისი როგორც საფეხბურთო, ასევე სამწვრთნელო კარიერა. გასულ სეზონში ხომუტოვის ასისტენტი გახლდათ.

კირკიტაძე "გაგრაში", ფეხბურთელის ამპლუაში, 2004-07 წლებში თამაშობდა. შემდეგ სხვა კლუბების ფორმაც მოირგო. აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ კი, 2009 წელს "გაგრაში" მწვრთნელის რანგში დაბრუნდა. აღნიშნულ სეზონში **პაატა გოცირიძის** ასისტენტი გახლდათ.

მისთვის არც მთავარი მწვრთნელის რანგია უცხო - კირკიტაძემ გუნდს პირველ ლიგაში, 2015/16 წლების სეზონში უხელმძღვანელა და მე-5 ადგილზე გაიყვანა.

*"უპირველესად, მინდა მადლობა გადავუხადო დენის ხომუტოვს "გაგრაში" გაწეული სამუშაოსთვის. ასევე, მადლობა მინდა ვუთხრა ხელმძღვანელობას ნდობისთვის. ძალას არ დავიშურებ იმისათვის, რომ "გაგრამ" წინ ის ნაბიჯი გადადგას, რომელიც წელს ვერ შევძელით. ბევრმა ძლიერმა ფეხბურთელმა დაგვტოვა და მინდა მათ წარმატება ვუსურვო"* - ამბობს გაგა კირკიტაძე.

კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **გოდერძი ჩიხრაძე** კირკიტაძის მიმართ ნდობას ავლენს: *"ჩვენმა აღზრდილმა და ყოფილმა ფეხბურთელმა გუნდი ოფიციალურად ჩაიბარა. მინდა, კლუბის სახელით გაგა კირკიტაძეს წარმატება ვუსურვო. ვიცით, ვიცნობთ, გვჯერა მისი და დარწმუნებული ვართ კლუბთან ერთად წარმატებას მიაღწევს!".*

**მერაბ მამულაშვილი**

სფფ

# მოთხოვნა დიმიტრი გელოვანზე...

## სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატს მოთხოვნები წაუყენეს: უმაღლესი განათლება, ფეხბურთში ჩართულობა და არანასამართლეობა



ცნობილია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება - ორგანიზაციის 29-ე საარჩევნო ყრილობა 2019 წლის 15 თებერვალს ჩატარდება. სფფ-ის ცნობით, ყრილობის დღის წესრიგთან დაკავშირებული შემოთავაზების წარდგენა სფფ-ის წევრებს ყრილობის თარიღამდე სულ მცირე 30 დღით ადრე (15 იანვრის ჩათვლით) წერილობითი ფორმით შეუძლიათ.

ამასთანავე, სფფ-ის საპრეზიდენტო კანდიდატების, აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატთა და დელეგატთა წარდგენის ბოლო ვადა გახდა ცნობილი - ამ თარიღად 21 იანვარი გამოცხადდა.

დებულების მიხედვით, სფფ-ის პრეზიდენტობაზე კანდიდატურების წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ სფფ-ის წევრებს (სუბიექტებს). ერთი მნიშვნელოვანი პუნქტიცაა - პრეზიდენტობის კანდიდატი სფფ-ის სამმა სუბიექტმა უნდა წარადგინოს.

სფფ-მ კანდიდატის წარდგენის კრიტერიუმიც დაასახელა: სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი შეიძლება იყოს 24-დან 70 წლამდე პიროვნება, რომელსაც უმაღლესი განათლება უნდა ჰქონდეს. ის უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, საფეხბურთო საქმიანობაში აქტიურად ჩართული და არ უნდა იყოს ნასამართლევი. მან წერილობითი ფორმით უნდა დაადასტუროს, რომ აღიარებს სფფ-ის, ფიფას და უეფას წესდებებს, დებულებებსა და გადაწყვეტილებებს და წარმოადგინოს სამოქმედო პროგრამა.

**სერგო კორძაია**

აღიარება

# ის ქართველ კაკად მონათლეს

## გიორგი ჩაკვეტაძე უეფამაც აღიარა



უეფამ **გიორგი ჩაკვეტაძე** გამოარჩია. ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ოფიციალურ გვერდზე 50 იმედისმომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაასახელა, რომელთა ასაკი 21 წლამდეა და რომელთაც 2019 წელს ყურადღება უნდა მივაქციოთ. მათ შორის მოხვდა საქართველოს ნაკრებისა და "გენტის" 19 წლის იმედი.

ეს იყო არა ერთი კონკრეტული ორგანიზაციის, არამედ, მედიის აზრი: უეფამ გამოკითხვა ევროპელ ჟურნალისტებს შორის ჩაატარა.

*"ჩვენ ვთხოვეთ ჟურნალისტებს მთელი ევროპის მასშტაბით, დაესახელებინათ ევროპის ამომავალი ვარსკვლავები. ჩვენ მიერ დასახელებული 59 ვარსკვლავიდან რამდენი გაამართლებს იმედებს 2020 წლისთვის"* - წერია უეფას სტატიაში.

ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ოფიციალურ გვერდზე 19 წლის ქართველზე ვკითხულობთ: *"გიორგი ჩაკვეტაძე - ახალგაზრდა შემტევი, რომელსაც გამოარჩევს სისწრაფე და მშვენიერი ფეხები. გარკვეულ წრეებში ზედმეტსახელით, "ქართველ კაკად" მონათლეს".*

ამ სიაში მოხვდნენ ცნობილი ტალანტები: **რიკარდ პუიგი** ("ბარსელონა") **ჯეიდონ სანჩო** ("დორტმუნდი"), **ვინისიუს ჟუნიორი** ("რეალი"), **ანდრეი ლუნინი** ("ლეგანესი"), გერმანიის ნაკრებში გამოძახებული **კაი ჰავერცი** ("ლევერკუზენი"), **ლუკა იოვიჩი** ("აინტრახტი), **ნიკოლო ძანიოლო** ("რომა")...

გიორგი ჩაკვეტაძე 2018 წლის საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად დაასახელეს და ბელგიის ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელთა შორის ლიდერობს. ამას გარდა, ინგლისურმა გამოცემა "გარდიანმა" ევროპის 4 ყველაზე იმედისმომცემ ახალგაზრდას შორის დაასახელა.

**მერაბ მამულაშვილი**

უცხოურ მედიაში

# საქართველო, რომელიც ძალიან... ტეხავს

## ვაისი ყაზახებმა წლის მთავარ უსიამოვნებად მონათლეს

ყაზახურმა გამოცემა "პროსპორტსმა" წლის საფეხბურთო მოვლენები შეაჯამა და ყველაზე დიდი უსიამოვნებების, გნებავთ, დარტყმის სია ჩამოარაკრაკეს. ამ სიაში ერთ-ერთ მთავარ ადგილს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვლადიმირ ვაისი** იკავებს.

სიტყვა, რომელიც ყაზახებმა სტატიაში გამოიყენეს, უფრო ჟარგონული "ლომკა", "გატეხვა" შეეფერება. მაგრამ რადგან ლიტერატურულად გაუმართლებელია, ნაკლებად შესაფერის სიტყვას, წლის დარტყმას გამოვიყენებთ.

*"ვლადიმირ ვაისი - აი ის, რომელსაც გააჩნია საჭირო საკვალიფიკაციო, დიდი გამოცდილება და ქარიზმა. თავის დროზე, მოულოდნელად "ყაირატიდან" ისე გაათავისუფლეს, შორის არც გაუხედიათ. ამის გამო მან 2018 წელს ყაზახურ ფეხბურთზე სასტიკად იძია შური. ვლადიმირ ვაისმა, რომლის ხელშიც საქართველოს ეროვნული ნაკრები ბრწყინავდა, ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოაყალიბა, რომელმაც ჩვენს ეროვნულ გუნდს სახეში ორჯერ შემოულაწუნა და ერთა ლიგის ისტორიულ პირველ გათამაშების ორივე მატჩში დამაჯერებლად დაამარცხა. ვაისს არც უფიქრია სიხარულის დამალვა, როდესაც ყაზახეთი ორჯერ გაანადგურა. მან მიანიშნა, რომ მას ყაზახეთში მუშაობის საშუალება ტყუილად არ მისცეს. სლოვაკი მწვრთნელი 2018 წელს ყაზახეთის ეროვნული ნაკრების ორიდან ერთ-ერთი მთავარი უსიამოვნების ავტორი გახდა"*, - წერს "პროსპორტსი".

გამოცემამ წლის შედეგებს კიდევ ერთი წერილი მიუძღვნა - *"ნგრევა ყაზახურ ფეხბურთში: კიდევ ერთი წარუმატებელი წელი"*.

საქართველოს ნაკრები ამ წერილშიც ახსენეს: *"ჩვეულებრივი ნაკრები - ეროვნულმა ნაკრებმა იმედგაცრუებული დაგვტოვა. გასაგებია, რომ მუშაობის პირველივე წელს სტანიმირ სტოილოვისგან ზღაპრული შედეგების მოთხოვნა არ შეიძლებოდა. ეროვნული გუნდის დამრიგებელს ხომ, ფაქტობრივად, დრო არ ჰქონია, რომ ნაკრების სათამაშო რგოლებს შორის კავშირი შეეკრა. თუმცა, გუნდმა ბულგარელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით კარგად დაიწყო და უნგრეთი და აზერბაიჯანი დაამარცხა".*

ყაზახური გამოცემა იმას განიცდის, რომ მათი ნაკრების მთავარ მწვრთნელს დიდი ხელფასი აქვს და ეტყობა, ავტომატურად ჩათვალეს, რომ ბევრად ნაკლები ხელფასის მქონე ვაისის გუნდი უნდა დაემარცხებინათ:

*"სტოილოვმა ყველა ნაცნობი ფეხბურთელი შეკრიბა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. სამწუხაროდ, ერთა ლიგაზე ყაზახეთის ნაკრები ჩაფლავდა. ყაზახეთმა, რომელიც ერთი შეხედვით, ძალიან სუსტ ჯგუფში მოხვდა, მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა - სახლში ანდორისთან. მაგრამ გასვლაზე და ლატვიელებთან თამაშებში, სტოილოვის გუნდი მხოლოდ ქულას დაკმაყოფილდა, ჯგუფის გამარჯვებულ საქართველოს ნაკრებთან კი საერთოდ უიმედოდ წააგო. ასეთი მარცხის გამართლება შეუძლებელია. მით უფრო, რომ მედიის ინფორმაციის მიხედვით, ბულგარელი წელიწადში 800 მილიონ ტენგეს (დაახლოებით 2 მილიონი აშშ დოლარი) გამოიმუშავებს. ამ ინფორმაციის დადასტურება არ მოხერხდა, რადგან ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციამ სტოილოვის ხელფასის გამჟღავნებაზე უარი თქვა".*

**მერაბ მამულაშვილი**



ლოკომოტივი

# საუკეთესონი რკინიგზაში

**თბილისის "ლოკომოტივში" ტრადიციული, ყოველწლიური დაჯილდოება გაიმართა, სადაც საახალწლოდ გამარჯვებული ექვს ნომინაციაში გამოავლინეს.**

### 2018 წლის საუკეთესო ფეხბურთელი

სეზონის შემაჯამებელ საღამოზე მთავარი პრიზი **თეიმურაზ შონიას** ერგო. 28 წლის ნახევარმცველი "ლოკომოტივის" სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

შონიას ლოკოში სადებიუტო სეზონი ჰქონდა. ეროვნულ ლიგაში მან 30 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა.

### საუკეთსო ახალგაზრდა ფეხბურთელი

აღნიშნულ ნომინაციაში, კონკურენტებს **ზურიკო დავითაშვილმა** აჯობა, რომელსაც, **თეიმურაზ შონიას** მსგავსად, "ლოკომოტივში" სადებიუტო სეზონი ჰქონდა.

17 წლის ნახევარმცველმა ეროვნულ ლიგაში 19 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა. გარდა ამისა, დავითაშვილი სისტემატურად, წარმატებით თამაშობდა საქართველოს 17 და 19 წლამდე ნაკრების შემადგენლობაში.

2018 წელს, ახალგაზრდულ ნაკრებებში, მის ანგარიშზე 11 გატანილი გოლია.

### წლის საუკეთესო გოლი

წლის საუკეთესო გოლის ავტორი **ლუკა კიკაბიძე** გახდა. 23 წლის ნახევარმცველმა, ეროვნული ლიგის მე-14 ტურში, მაშინდელი ლიდერის და ახლა უკვე ჩემპიონის, "საბურთალოს" კარი ძალიან ლამაზი შეტევის შედეგად აიღო.

გარდა სილამაზისა, გოლს მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა სატურნირო თვალსაზრისით, რადგან კიკაბიძის გოლით, "ლოკომოტივმა" გათამაშების ლიდერთან ქულა მოიპოვა.

### წლის საუკეთესო მწვრთნელი

**სულიკო დავითაშვილმა** წლის დასაწყისში ჩაიბარა "ლოკომოტივის" 19-წლამდელთა გუნდი და გუნდის აკადემიის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატების ავტორი გახდა.

მისი ხელმძღვანელობით, "ლოკომოტივის" აკადემიის გუნდმა წაუგებლად ჩაატარა 19-წლამდელთა ლიგის B ჯგუფი, შემდეგ კი ოქროს ლიგა და ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

შთამბეჭდავია "ლოკომოტივის" 19-წლამდელთა გუნდის 2018 წლის სტატისტიკა. დავითაშვილის გუნდმა 28 მატჩი ჩაატარა და 139 გოლი გაიტანა, რაც სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია.

### აკადემიის საუკეთესო ფეხბურთელი

აღნიშნულ ნომინაციაში საუკეთესო **რევაზ ინჯგია** გახდა. მთელი წლის მანძილზე, ინჯგია 19 წლამდე გუნდში შეუცვლელი ფეხბურთელი იყო. მან აკადემიის გუნდის შემადგენლობაში 28 გოლი გაიტანა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ინჯგიამ 17 მატჩი ჩაატარა ეროვნულ ლიგაშიც. მის ანგარიშზე ერთი გოლია, რომელიც 25 ნოემბერს, ბოლნისის "სიონის" წინააღმდეგ გაიტანა. ინჯგია სისტემატურად თამაშობს საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში, ამჟამად ის 19-წლამდელთა გუნდის წევრია და ახალ თაობაში ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ახალგაზრდა თავდამსხმელი.

### წლის ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი

აკადემიის 19-წლამდელთა გუნდის ჩემპიონობაში, გადამწყვეტი როლი უშუალო კონკურენტ თბილისის "დინამოსთან" მაღალ დონეზე ჩატარებულმა მატჩებმა ითამაშა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, სტუმრად მოპოვებული ქულაა, სადაც ფაქტობრივად, 2018 წლის ჩემპიონის ბედი გადაწყდა.

20 ოქტომბერს, ვიტალი დარასელიას სახელობის აკადემიაში, "ლოკომოტივი" მინიმალური ანგარიშით მარცხდებოდა და 84-ე წუთზე, **ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა**, შორეული დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

აღსანიშნავია, რომ "დინამოსთან" გოლის გარდა, 2018 წელს ანდრონიკაშვილის ანგარიშზე კიდევ 8 გოლია. 19 წლის მცველი ნოემბერში, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებშიც მიიწვიეს.

წლის ბოლოს, ეროვნული ლიგის უკანასკნელ ორ ტურში, გორის "დილასთან" და "რუსთავთან" ანდრონიკაშვილმა შეუცვლელად იასპარეზა.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

# სიონი და გურეშიძე დაშორდნენ

ბოლნისის "სიონისა" და **სანდრო გურეშიძის** გზები გაიყარა. 23 წლის ცენტრალური მცველი, ვინც გასულ სეზონში ერთ-ერთი გამორჩეული იყო ბოლნისური კლუბის შემადგენლობაში, **თემურ შალამბერიძის** მიერ გაწვრთნილი გუნდის ღირსებას აღარ დაიცავს.

გურეშიძეს დაუცავს საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრების ღირსება. სხვადასხვა დროს თამაშობდა თბილისის "დინამოს" მეორე გუნდში, "ლოკომოტივსა" და ფოთის "კოლხეთში".

**ალეკო კაკაურიძე**

# რეალობა მწარეა, თუმცა...

## გადავა თუ არა რომელიმე ქართველი ფეხბურთელი ევროპის ტოპჩემპიონატში?

**რას** ველით 2019 წლისგან? მოკლედ დავწერთ იმას, რაც აქამდე არაერთხელ დაგვიწერია: უპირველეს ყოვლისა, სანაკრებო წარმატებას, რომლის საფუძველიც უკვე ჩაყრილია და ახლა კარგად დაწყებულ საქმეს ასეთივე გაგრძელება სჭირდება.

საფეხბურთო თვალსაზრისით, მომავალი წლის კიდევ ერთი მთავარი მოლოდინი უკავშირდება იმას, გადავა თუ არა რომელიმე ქართველი ფეხბურთელი ევროპის ტოპჩემპიონატში? ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ქართველი გულშემატკივარი მოუთმენლად ელის, რომ ერთგვარი ტაბუ აიხსნება და ნაღდი ევროპული ფეხბურთისკენ გაგვეხსნება გზა...


საბა კვირკველიას აქვს პერსპექტივა, ტოპჩემპიონატში ითამაშოს


ლევან მჭედლიძე დღეს ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც ტოპჩემპიონატში თამაშობს

### რა ხდება დღეს?

საქართველოს ნაკრების პროგრესი აშკარაა. ამას თავისთავად უნდა მოჰყვეს ევროპის ტოპჩემპიონატების (ინგლისი, იტალია, ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი) კლუბების დაინტერესება ჩვენი მოთამაშეებით.

ალბათ, გლობალურად, ეს უფრო მაშინ მოხდება, როცა საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდება. გასაგებია, რომ კონტინენტის უმთავრეს საფეხბურთო ფორუმს არაერთი სელექციონერი დაესწრება, მაგრამ მანამდეც შეიძლება გამოგვიჩდნენ პირველი მერცხლები.

სადღეისოდ კი რეალობა მწარეა: ჩვენ რომ ჩამოვთვალეთ, იმ პირველობებში ერთადერთი დესპანი გვყავს - **ლევან მჭედლიძე** უკვე წლებია "ემპოლის" ღირსებას იცავს. ბოლო დროს ის ჯანმრთელადაა და თანდათან ეჩვევა რიტმს. იმედი გვაქვს, ლევანი მალე გაგვახარებს გოლებით. საკმარისი არის თუ არა ეს? რა თქმა უნდა, არა.

ძალიან ბევრ არასაფეხბურთო ქვეყანას ჰყავს ლეგიონერები ტოპჩემპიონატებში და ჩვენ ნამდვილად გვაქვს იმის პრეტენზია, რომ მათ შევუერთდეთ. განვიხილოთ, რამდენად რეალურია ამის პერსპექტივა.

### ვისი გვეიმედება?

რა თქმა უნდა, პირველი კანდიდატი **გიორგი ჩაკვეტაძეა**. გიორგის სავარაუდო ტრანსფერებზე უკვე საკმაოდ დაიწერა და ახლა ამ თემას აღარ გავაგრძელებთ. ისედაც ყველაფერი ცხადია.

ვფიქრობ, მომავალ წელს **საბა კვირკველია** აუცილებლად უნდა ვიხილოთ რომელიმე ევროპულ ტოპჩემპიონატში. მან თითქმის ყველა რუსული ტიტული მოიგო "ლოკომოტივთან" ერთად. ის არის გუნდის დაცვის ბურჯი და ლიდერი. მან უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები რუსეთში.

კვირკველია ამბიციური ფეხბურთელია და ეს ძალიან კარგია. მან იცის თავის ფასი და ისიც, რომ ტოპჩემპიონატში თამაში უპრობლემოდ შეუძლია. რა თქმა უნდა, არსებობს მადლიერების მომენტი "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის, იური სიომინის მიმართ. ეს აბსოლუტურად გასაგებია. თავის დროზე სიომინი ენდო უთამაშებელ კვირკველიას, რომელსაც ლამის შეაძულეს ფეხბურთი ყაზანის "რუბინში", მაგრამ სათქმელია ისიც, რომ საბამ თავისი კარგი თამაშით უკვე გადაუხადა მადლობა მწვრთნელსაც, კლუბსაც და "ლოკოს" გულშემატკივრებსაც.

"ლოკომოტივმა" ითამაშა ჩემპიონთა ლიგაზე და ჯგუფში ჩარჩა. ეს ამ გუნდის მაქსიმუმი გვგონია. რაც შეეხება ინტერესს, შარშან იყო ასეთი ინტერესი ინგლისური და სხვა ქვეყნის კლუბებიდან, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. ინტერესი იქნება წლეულსაც და საბამ უნდა გადადგას ის ნაბიჯი, რომელსაც მისგან ველით.

**ოთარ კაკაბაძის** ესპანური "ჟიმნასტიკიდან" შვეიცარიულ "ლუცერნში" გადასვლას ასეთი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ: ოთარის თამაშს ნეიტრალურ ქვეყანაში ბევრი სელექციონერი მიადევნებს თვალს. აქედან გამომდინარე, მისგანაც ველით რომელიმე ტოპჩემპიონატში გადასვლას. კაკაბაძე ძალიან კარგ ფორმაში რომაა, ეს სანაკრებო შეხვედრებმაც დაადასტურა. აქედან გამომდინარე, სულაც არ გვგონია, რომ ჩვენებური ევროპული მასშტაბით საშუალოზე საშუალო "ლუცერნში" დიდხანს გაჩერდება.

უკრაინულ მედიაში გაკრთა ინფორმაცია, თითქოს დონეცკის "შახტარი" **დავით ხოჭოლავას** გაყიდვას აპირებს. კარგად ვიცით, რა კლუბებში მიდიან "შახტარიდან" ფეხბურთელები. გასაგებია, ხოჭოლავას შემთხვევაში მთლად "ჩელსისა" და "მანჩესტერის" მოლოდინი ნაჯკლებად უნდა გვქონდეს, მაგრამ რომელიმე ტოპჩემპიონატის რომელიმე საშუალო კლუბში დავითს თავისუფლად შეუძლია თამაში.

"ლელოს" ცოტა ხნის წინ ეწერა, რომ **ვახტანგ ჭანტურიშვილის** გადაბირებით რამდენიმე სოლიდური კლუბი იყო დაინტერესებული და მათ შორის არიან გუნდები ფრანგული ლიგა 1-დან. ამაში გასაკვირი არაფერია. საქართველოს ნაკრების ფლანგელმა ჯერ დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ "ტრნავა" სლოვაკეთში პირველად გაჩემპიონდა, მერე კი ევროპალიგის ჯგუფშიც კარგად ითამაშა.

### აფსუს!..

ახალ კლუბებს ეძებენ **თორნიკე ოქრიაშვილი** და **ჯანო ანანიძე**. რუსულ მედიას თუ ვენდობით, ჯანო გადადის იქაურ პრემიერლიგაში დასარჩენად მებრძოლ "კრილია სოვეტოვში". თორნიკე კი ამ ეტაპზე იპოვის შედარებით სუსტ კლუბს, სადაც სისტემატური სათამაშო პრაქტიკა ექნება.

დასანანია, ძალიან დასანანი - ერთიცა და მეორეც ისეთი ფეხბურთელია, უსათუოდ რომ უნდა თამაშობდეს რომელიმე წამყვან ჩემპიონატში. რა თქმა უნდა, არის ტრავმებიც, მაგრამ არ გვტოვებს იმის შეგრძნება, რომ ორი ძალიან კარგი ქართველი ფეხბურთელის კარიერა თავის დროზე არასწორად დაიგეგმა.

დანარჩენი მომავლის საქმეა - ვნახოთ, ჩვენი რომელი მოლოდინი გამართლდება და რომელი არა. ფაქტი ისაა, რომ 2019 წელს მჭედლიძე ევროპის ტოპჩემპიონატებში ჩვენი ერთადერთი დესპანი აღარ უნდა იყოს!..

ლეგიონერები

# ქართველების ტობოლს გაზაევი დაუნიშნეს


ჯაბა კანკავა


ნიკა კვეკვესკირი

კოსტანაის "ტობოლს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - ჩვენთვის ძალიან კარგად ნაცნობი **ვლადიმირ გაზაევი,** ცნობილი სპეციალისტის, თბილისის "დინამოს" ყოფილი ფორვარდის, **ვალერი გაზაევის** შვილი.

სწორედ ვლადიმირ გაზაევმა დაიწყო 2018 წლის სეზონი "რუსთავის" მთავარი მწვრთნელის რანგში, ამბიციებიც დიდი იყო, მაგრამ... კარგი შემადგენლობის მიუხედავად, "რუსთავმა" ასეთივე შედეგები ვერ აჩვენა.

ამას ჰქონდა თავისი მიზეზები - გუნდი ახალშეკრებილი იყო, ლიდერები საკუთარ თამაშს ეძებდნენ და ვერც მწვრთნელმა მოახდინა ფურორი მოკლე ხანში. ასე იყო თუ ისე, ვლადიმირ გაზაევი საქართველოს ისე გაეცალა, ჩვენში სახელი საერთოდ ვერ დატოვა.

საქართველოდან წასვლის შემდეგ გაზაევმა კრასნოდარის ახალდაარსებული საფეხბურთო კლუბი "უროჟაი" ჩაიბარა, მაგრამ დიდხანს ვერც იქ გაძლო და ერთი თვის თავზე თანამდებობა დატოვა. ახლა მას უხმეს ყაზახეთში, კერძოდ, "ტობოლში", სადაც საქართველოს ნაკრების ლიდერები - **ჯაბა კანკავა** და **ნიკა კვეკვესკირი** თამაშობენ. კოსტანაის გუნდი გასულ სეზონში მესამე ადგილზე გავიდა და ზაფხულიდან ევროპალიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.



გვერდი მოამზადა **ალეკო კაკაურიძემ**

# მესი ნაკრებში დაბრუნდება?

## ბარსელონას ლიდერი ყველაფერში ლიდერია

ესპანური Marca-ს ინფორმაციით, "ბარსელონას" ფორვარდი **ლიონელ მესი** 2019 წელს არგენტინის ნაკრებში დაბრუნდება. ეს მოხდება კოპა ამერიკაზე, რომელიც ბრაზილიაში უნდა გაიმართოს.

ვარსკვლავის სავარაუდო დაბრუნებაზე მიანიშნა არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა **კლაუდიო ტაპიამ**.

*"ლეოს არასოდეს მიუტოვებია ნაკრები, ამიტომაც ეჭვი არ მეპარება, რომ ის დაბრუნდება, როგორც კი გუნდში დაუძახებენ"*, - მოჰყავს ჩინოვნიკის სიტყვები Marca-ს.

ლიონელ მესიმ ნაკრებში გამოსვლა მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შემდეგ შეაჩერა, სადაც მისი გუნდი მერვედფინალიდან გამოეთიშა ბრძოლას. სულ მას ეროვნულ გუნდში 128 მატჩი აქვს ჩატარებული და 65 გოლი გატანილი.

მესის ორჯერ უთამაშია "კოპა ამერიკის" ფინალში და ორჯერვე ჩილეს ნაკრებთან წააგო პენალტების სერიით.

სამაგიეროდ, ის 6 მნიშვნელოვანი სტატისტიკური მაჩვენებლით 2018 წლის ლიდერია ყველა იმ ფეხბურთელს შორის, ვინც ევროპის TOP5 ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში გამოდის.

ამ კალენდარულ წელს, არგენტინელმა ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, ყველაზე მეტი შედეგიანი გადაცემა შეასრულა, ყველაზე მეტი წარმატებული ფინტი ჰქონდა, ყველაზე მეტი ჯარიმა და ყველაზე მეტი გოლი გაიტანა საჯარიმოს გარედან, აგრეთვე, ყველაზე მეტი საგოლე მომენტი შექმნა.

ამასთან, მესის გარკვეული მიზეზების გამო, 2018 წელს სამი კვირა გაუცდა. მიმდინარე სეზონში 31 წლის ლეომ 15 მატჩი ჩაატარა ესპანეთის ჩემპიონატში და ამდენივე გოლი გაიტანა, აგრეთვე, 10 შედეგიანი პასი შეასრულა.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის "ოქროს ბურთის" გამოკითხვაში მან მე-5 ადგილი დაიკავა.

### Marca-მ მესი აირჩია, სად არის რონალდო?

...და მესის კიდევ ერთი აღიარება: ავტორიტეტულმა ესპანურმა გამოცემა Marca-მ გამოავლინა 2018 წლის საუკეთესო ფეხბურთელი და TOP100 მოთამაშის სიას სათავეში სწორედ "ბარსელონას" შემტევი **ლიონელ მესი** ჩაუყენა.

"ოქროს ბურთის" მფლობელი, ფიფასა და უეფას ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელი **ლუკა მოდრიჩი** მეორე ადგილზე გავიდა. მესამეზე აღმოჩნდა მსოფლიოს ჩემპიონი, მადრიდის "ატლეტიკოს" ფორვარდი **ანტუან გრიზმანი**. მხოლოდ მეოთხე იყო "იუვენტუსის" ფორვარდი **კრიშტიანო რონალდო**. პირველ ათეულში დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა:

**კილიან მბაპე** (პსჟ, საფრანგეთი), **მოჰამედ სალაჰი** (ლივერპული, ეგვიპტე), **ედენ აზარი** (ჩელსი, ბელგია), **რაფაელ ვარანი** (რეალი, საფრანგეთი), **ჰარი კეინი** (ტოტენჰემი, ინგლისი), **კევინ დე ბრუინი** (მანჩესტერ სიტი, ბელგია).





# მოდრიჩმა პირველი წინადადება უარყო

## ლუკა ბალკანეთის საუკეთესო სპორტსმენია

**ლუკა მოდრიჩმა** უარყო მადრიდული კლუბის წინადადება კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. AS-ის მონაცემებით, "რეალის" ხორვატ ნახევარმცველს არ მოეწონა შეთავაზებული ფინანსური პირობები. მოდრიჩის ამჟამინდელი ხელშეკრულება "რეალთან" 2020 წლის ზაფხულამდეა ძალაში.

თუ მხარეები ვერ მოილაპარაკებენ კონტრაქტის გაგრძელებაზე, **ფლორენტინო პერესი**, დიდი ალბათობით, 2018/19 წლების სეზონის შემდეგ გაყიდის მოდრიჩს, რათა მოგვიანებით მისმა უფასოდ გაშვებამ არ მოუწიოს.

წლევანდელ ზაფხულს, მოდრიჩის შეძენით მილანის "ინტერი" იყო დაინტერესებული და, როგორც ამბობენ, ეს ინტერესი არ გამქრალა...

ამასობაში ის 2018 წლის საუკეთესო ბალკანელი სპორტსმენი გახდა. გამოკითხვა ჩაატარა ბულგარეთის ახალი ამბების სააგენტომ.

მეორე ადგილი დაიკავა სერბმა ჩოგბურთელმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, მესამე - რუმინელმა ჩოგბურთელმა **სიმონა ჰალეპმა**.

გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდნენ ალბანეთის, ბოსნიის, ხორვატიის, საბერძნეთის, მაკედონიის, ჩერნოგორიის, რუმინეთის, სერბეთისა და თურქეთის ახალი ამბების სააგენტოები.

შეგახსენებთ, რომ 2018 წელს მოდრიჩმა "რეალთან" ერთად მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ხორვატიის ნაკრების შემადგენლობაში კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. ინდივიდუალური პრიზებიდან ხორვატმა მოიგო - "ოქროს ბურთი", ასევე, ფიფასა და უეფას პრიზები.

ამბები

## ტურამი: ფეხბურთი რასიზმის საკითხში გაუბედავია

საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა მცველმა **ლილიან ტურამმა** კომენტარი გაუკეთა რასიზმის გამოვლინებას თანამედროვე ფეხბურთში. მისი სიტყვები იტალიურ გაზეთ La Gazzetta dello Sport-ს მოჰყავს.

*"ფეხბურთი ძალიან გაუბედავია რასიზმის საკითხში. ბევრს ეშინია თავის გამოჩენის და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების. ამის ნაცვლად, საჭიროა მოძრაობა იმ მიმართულებით, რომ შეიქმნას სათანადო რეზონანსი და კომუნიკაციების არხები.*

*რასიზმი ნებისმიერი ხერხით უნდა აღმოიფხვრას, რადგან მეტისმეტად სახიფათოა. ის ყოველთვის ძალადობას იწვევს. ეს სიკვდილის რიტორიკაა.*

*ლაპარაკია აზრების ამგვარ მსვლელობაზე: "ის ჩვენნაირი არ არის. ჩვენ უკეთესები ვართ". და იოლია იმ აზრამდე მისვლა, რომ სხვისი მოკვლა შეიძლება. ფეხბურთს არ აქვს უფლება გვერდით გადგეს და ისეთი პოზა მიიღოს, თითქოს არაფერი ხდება. არადა, რასიზმი ძლიერდება სტადიონებზე".*

## სიმბოლური Instat-ისგან

საფეხბურთო სტატისტიკის ავტორიტეტულმა პორტალმა InStat-მა გამოაქვეყნა მონაცემები წლის საუკეთესო ფეხბურთელების შესახებ და მათი მეშვეობით, წლის სიმბოლური ნაკრები შეადგინა.

InStat-მა თითოეულ ფეხბურთელს 2018 წელს გამოსვლისთვის საბოლოო ქულა მიანიჭა. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ბრაზილიელ **ნეიმარს** აღმოაჩნდა (423), მეორე იყო არგენტინელი **ლიონელ მესი** (420). მხოლოდ ამ ორმა ფეხბურთელმა შეძლო 400 ქულაზე მეტის აღება. 2018 წლის სიმბოლური ნაკრები InStat-ის ვერსიით:

მეკარე - **უგო ლორისი** (საფრანგეთი, ტოტენჰემი, 307); მცველები - **ემერიკ ლაპორტი** (საფრანგეთი, მანჩესტერ სიტი, 322), **ვირჯილ ვან დაიკი** (ჰოლანდია, ლივერპული, 325), **მატს ჰუმელსი** (გერმანია, ბაიერნი, 338); ნახევარმცველები - **პოლ პოგბა** (საფრანგეთი, მანჩესტერ იუნაიტედი, 329), **ჟოაო კანსელო** (პორტუგალია, იუვენტუსი, 327), **ნეიმარი** (ბრაზილია, პარი სენ-ჟერმენი, 423), **ედენ აზარი** (ბელგია, ჩელსი, 344), **ანხელ დი მარია** (არგენტინა, პარი სენ-ჟერმენი, 335); ფორვარდები - **კრიშტიანო რონალდო** (პორტუგალია, იუვენტუსი, 360), **ლიონელ მესი** (არგენტინა, ბარსელონა, 420).

## სამხრეთ ამერიკაში სამი საუკეთესო რივერიდანაა

"რივერ პლეიტის" შემტევი ნახევარმცველი **გონსალო მარტინესი** 2018 წელს სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

გამოკითხვაში მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს მარტინესის თანაგუნდელებმა - **ხუან კინტერომ** და **ფრანკო არმანიმ**.

შეგახსენებთ, რომ დეკემბერში "რივერ პლეიტმა" ორი მატჩის ჯამში "ბოკა ხუნიორსი" დაამარცხა და კოპა ლიბერტადორესის თასის მფლობელი გახდა.

გვერდი მოამზადა
**გიორგი თვალიამ**

ტრანსფერი

# ჩელსიმ უკვე მოაგვარა: პულიშიჩი 64 მილიონ ევროდ

"დორტმუნდის" ნახევარმცველი **კრისტიან პულიშიჩი** "ჩელსიში" გადავიდა, - იტყობინება ლონდონური კლუბის პრესსამსახური.

20 წლის ამერიკელი ფეხბურთელი "ჩელსის" შემადგენლობას მხოლოდ 2019 წლის ზაფხულში შეავსებს, ამ სეზონის ბოლომდე კი "დორტმუნდში" გააგრძელებს თამაშს იჯარის წესით. გერმანულ კლუბს პულიშიჩის სამსახური არაფერი დაუჯდება.

"ჩელსის" ეს ტრანსფერი 64 მილიონი ევრო დაუჯდა, რითაც პულიშიჩი გახდა ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ამერიკელი ფეხბურთელი. მან გააუმჯობესა **ჯონ ბრუქსის** რეკორდი, რომელშიც "ვოლფსბურგმა" 2017 წელს 22 მილიონი ევრო გადაიხადა.

პულიშიჩმა წლევანდელ სეზონში ყველა ტურნირზე 18 მატჩი ჩაატარა, სამი გოლი გაიტანა და ოთხი საგოლე პასი შეასრულა.

საინტერესოა, რომ 2016 წლიდან "დორტმუნდმა" ტრანსფერებით 335 მილიონი ევრო იშოვა. რაინვესტფალიელებმა არაერთი წამყვანი მოთამაშე გაყიდეს, თუმცა ჭკვიანური პოლიტიკით პოზიციები არათუ შეინარჩუნეს, უფრო მეტიც - დამაჯერებლად ლიდერობენ ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში...

შეგახსენებთ, რომ რეკორდული იყო **უსმან დემბელეს** გასხვისება "ბარსელონაში" - 115 მილიონი ევრო. შემდეგ მოდიან პულიშიჩი და **პიერ-ემერიკ ობამეიანგი** (გადავიდა "არსენალში") - 64 მილიონი და ასე შემდეგ.



ახლო ხედით...

# ჩინეთში მისი დაპატიმრება უნდოდათ...

## ანუ ევროპის საუკეთესო ბომბარდირი თურქეთიდან, რომელიც გოლს... გორილას ნიღბით აღნიშნავს

**...ის ევროპაში საუკეთესოა. თურქულ სუპერლიგაში 20 მატჩი ჩაატარა და 17 გოლი გაიტანა. ამ დროისთვის ასეთი შედეგი არ აქვთ ლიონელ მესის, კრიშტიანო რონალდოს, პიერ-ემერიკ ობამეიანგსა და, ასე განსაჯეთ, არც კშიშტოფ პიატეკს აქვს, ვის გენიაზეც დღეს მთელი საფეხბურთო ევროპა ლაპარაკობს...**

...ბევრმა საერთოდ არ იცის, ვინ არის **მბაიე დიანი**. ის კი არა, თუ "გუგლში" მის სახელს ჩაწერთ და პროფესიას არ მიუთითებთ, სულ სხვა ადამიანს მოძებნით. ეს არის სენეგალელი მშვიდობისმყოფელი, ვინც რუანდაში მიმდინარე სამოქალაქო ომების დროს გამნაღმველად მუშაობდა და არაერთი სიცოცხლე იხსნა.

ევროპაში ჩვენთვის საინტერესო დიანს არავინ იცნობს. არადა, სწორედ აქ გაიარა ფეხბურთელის თითქმის მთელმა კარიერამ. ის 22 წლის იყო, როცა "იუვენტუსმა" სერია D-ს ერთ-ერთი კლუბიდან აიყვანა და მასში 100 ათასი ევრო გადაიხადა. დიანი ეგრევე გაუშვეს "აიაჩოში", სადაც სათამაშო პრაქტიკა უნდა მიეღო.

მთელი სამი წლის განმავლობაში ტრიალებდა განათხოვრების გაუთავებელი კარუსელი. ასე განსაჯეთ, დიანმა საუდის არაბეთშიც კი ითამაშა. ბოლოს და ბოლოს, "იუვენტუსმა" მისთვის სრულიად გამოუსადეგარი ფეხბურთელი გაყიდა უნგრულ "იუპეშტში".

როგორც იქნა, დიანემ იპოვა საკუთარი თავი და იტალიის დაბალ ლიგაში ასპარეზობის შემდეგ პირველად შეაგდო სეზონში 10 გოლზე მეტი. ამის შემდეგ მან ჩინეთს მიაშურა. მისი თქმით, იყო წინადადება ლისაბონის "სპორტინგიდან", მაგრამ ჩინელებმა ოთხჯერ მეტი ხელფასი შესთავაზეს და ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ჩინეთში მისი მთავარი ისტორია ფეხბურთს სულაც არ უკავშირდება. მან "ინსტაგრამზე" დადო ვიდეო, რომელშიც დიანს ეცვა "კაპიუშონიანი" ზედა და ხელში ეჭირა პისტოლეტი. *"წადი ჩემი ოჯახიდან"*, - ყვიროდა ის. ფეხბურთელის თქმით, ამ ვიდეოს ერთადერთი მიზანი ხუმრობა გახლდათ.

*"ხუმრობის გარდა, სხვა მიზანი ნამდვილად არ მქონია. ხელში მეჭირა სათამაშო იარაღი. ვიდეო წავშალე და სათამაშო პისტოლეტი პოლიციას გადავეცი, რადგან ჩემი საქციელით ჩინეთის კანონმდებლობა დავარღვიე"*, - ამბობს დიანი.

ის რაღაც სასწაულით გადაურჩა დაპატიმრებას. მან რამდენიმე წელი გაატარა ჩინეთში, მაგრამ ძალიან უნდოდა ევროპაში დაბრუნება და როცა საამისო შანსი მიეცა, უკან არ დაუხევია. მისი სამსახურით თურქული "ქასიმფაშა" დაინტერესდა. ამ დროისთვის, ეს გუნდი სენსაციურად იბრძვის თურქეთის სუპერლიგაში მეორე ადგილისთვის, დიანი კი საგრძნობი უპირატესობით ლიდერობს ბომბარდირთა დავაში.

რა თქმა უნდა, აფრიკელის გადაბირება უკვე მოისურვეს ევროპის ტოპ-ჩემპიონატებში მოთამაშე კლუბებმა. ასე მაგალითად, "ვულვზი" მზად იყო, მასთან კონტრაქტი ახლავე გაეფორმებინა, მაგრამ ფეხბურთელმა წასვლა იუარა. მან პირობა დადო, რომ სეზონის ბოლომდე დარჩება "ქასიმფაშაში" და გუნდს დასახული მიზნების მიღწევაში დაეხმარება.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ამის თაობაზე ის ამბობს: *"სეზონის ბოლომდე ქასიმფაშას არ დავტოვებ. ამ გუნდმა ჩემთვის ძალიან ბევრი გააკეთა და მინდა, მას ბოლომდე ვუერთგულო. შემდეგ სეზონში კი სიამოვნებით მოვსინჯავდი ძალას რომელიმე თურქულ გრანდში. ასევე, მაქვს სურვილი, ვითამაშო ინგლისის ან საფრანგეთის ჩემპიონატებში. საკუთარი შესაძლებლობები გადაჭარბებით არასოდეს შემიფასებია, მაგრამ, ჩემი აზრით, შემიძლია, იქაც გავიტანო"*.



ასე აღნიშნავს გოლს მბაიე დიანი

ფეხბურთს მიღმა სენეგალელი ძალიან გულღია ადამიანია. *"როცა ჩემი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში პირველად მიმიწვიეს, უზომოდ ბედნიერი ვიყავი. ეს რაღაც ახლის დასაწყისი იყო. მაშინ გამახსენდა ის ბიჭები, რომლებიც ჩემთან ერთად თამაშობდნენ და ვერ მიაღწიეს მიზანს რიგი მიზეზების გამო. ვცდილობ, ყველას დავეხმარო, ვისაც დახმარება სჭირდება. ადამიანის მთავარი მოვალეობაა გაჭირვებაში დაუდგეს გვერდით ადამიანებს"*, - ამბობს დიანი.

"ვულვზის" გარდა, მის გადასაბირებლად უკვე მზად არიან სხვა ევროპული გუნდები და ტიტულოვანი თურქული კლუბები - "ფენერბაჰჩე", "გალათასარაი" და "ბეშიქთაში".

*"პოპულარობა კარგია, მაგრამ ამან თავბრუ არ უნდა დაგახვიოს. მე უბრალო ადამიანად ვრჩები და ასე იქნება მანამ, სანამ ვიცოცხლებ. ეს ჩემი მოწოდებაა. შეიძლება, ბევრს მიაღწიო, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი რამაა"*, - ამბობს ჩვენი გმირი.

სხვათა შორის, დიანი ანგლობას თურქეთშიც არ იშლის. ის ყველა გოლს გორილას ნიღბით აღნიშნავს...

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXI ტური

**არსენალი-ფულჰემი 4:1**

**გოლები:** 1:0 ჯაკა (25), 2:0 ლაკაზეტი (55), 2:1 კამარა (69), 3:1 რემზი (79), 4:1 ობამეიანგი (83)

**არსენალი (3-4-2-1):** ლენო - პაპასტატოპულოსი, კოსიელნი, მუსტაფი (46. ტორეირა) - მეიტლანდ-ნაილსი, გენდუზი, ჯაკა, კოლაშინაცი - ივობი (83. საკა), ობამეიანგი - ლაკაზეტი (75. რემზი).

**ევერტონი-ლესტერი 0:1**

**გოლი:** 0:1 ვარდი (58)

**კარდიფი-ტოტენჰემი 0:3**

**გოლები:** 0:1 კეინი (3), 0:2 ერიკსენი (12), 0:3 სონი (26)

**ტოტენჰემი (4-1-2-1-2):** ლორისი - ტრიპიერი, დავინსონ სანჩესი, ალდერვეირელდი, როუზი - უინქსი - სისოკო, ერიკსენი - ალი (86. ლორენტე) - სონი (76. სკიპი), კეინი.

**ბორნმუთი-უოტფორდი 3:3**

**გოლები:** 0:1 დინი (14), 0:2 დინი (27), 1:2 აკე (34), 2:2 უილსონი (37), 2:3 სემა (38), 3:3 ფრეიზერი (40)

**ჩელსი-საუთჰემპტონი 0:0**

**ჩელსი (4-3-3):** არისაბალაგა - ასპილიკუეტა, რიუდიგერი, დავიდ ლუიზი, ალონსო - კანტე, ჟორჟინიო, ბარკლი (68. ფაბრეგასი) - ვილიანი (37. ლოფტუს-ჩიკი), აზარი, მორატა.

**ჰადერსფილდი-ბარნლი 1:2**

**გოლები:** 1:0 მუნიე (33), 1:1 ვუდი (40), 1:2 ბარნსი (74)

**გაძევება:** შინდლერი (41. ჰადერსფილდი)

**ვესტ ჰემი-ბრაიტონი 2:2**

**გოლები:** 0:1 სტივენსი (56), 0:2 დაფი (58), 1:2 არნაუტოვიჩი (66), 2:2 არნაუტოვიჩი (68)

**ვულვზი-კრ. პალასი 0:2**

**გოლები:** 0:1 ჯ. აიუ (83), 0:2 მილივოიევიჩი (90+5-პენ)

**ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ 0:2**

**გოლები:** 0:1 ლუკაკუ (64), 0:2 რაშფორდი (80)

**მანჩესტერი (4-2-3-1):** დე ხეა - ვალენსია, ლინდელიოფი, ჯოუნსი, შოუ - ერერა, მატიჩი - მატა (83. ალექსის სანჩესი), მარსიალი (63. ლუკაკუ), პოგბა - რაშფორდი (87. ლინგარდი).

**ხუთშაბათი, 3 იანვარი**

**მანჩესტერ სიტი-ლივერპული 23:59**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 20 | 17 | 3 | 0 | 48:8 | 54 |
| 2. ტოტენჰემი | 21 | 16 | 0 | 5 | 46:21 | 48 |
| 3. მანჩესტ. სიტი | 20 | 15 | 2 | 3 | 54:16 | 47 |
| 4. ჩელსი | 21 | 13 | 5 | 3 | 38:16 | 44 |
| 5. არსენალი | 21 | 12 | 5 | 4 | 46:31 | 41 |
| 6. მანჩესტ. იუნ | 21 | 11 | 5 | 5 | 43:32 | 38 |
| 7. ლესტერი | 21 | 9 | 4 | 8 | 25:23 | 31 |
| 8. უოტფორდი | 21 | 8 | 5 | 8 | 30:31 | 29 |
| 9. ვულვზი | 21 | 8 | 5 | 8 | 23:25 | 29 |
| 10. ვესტ ჰემი | 21 | 8 | 4 | 9 | 29:32 | 28 |
| 11. ევერტონი | 21 | 7 | 6 | 8 | 31:31 | 27 |
| 12. ბორნმუთი | 21 | 8 | 3 | 10 | 31:40 | 27 |
| 13. ბრაიტონი | 21 | 7 | 5 | 9 | 24:29 | 26 |
| 14. კრ. პალასი | 21 | 6 | 4 | 11 | 19:26 | 22 |
| 15. ნიუკასლი | 21 | 4 | 6 | 11 | 15:29 | 18 |
| 16. ბარნლი | 21 | 5 | 3 | 13 | 21:42 | 18 |
| 17. კარდიფი | 21 | 5 | 3 | 13 | 19:41 | 18 |
| 18. საუთჰემპტ. | 21 | 3 | 7 | 11 | 21:38 | 16 |
| 19. ფულჰემი | 21 | 3 | 5 | 13 | 19:47 | 14 |
| 20. ჰადერსფილ. | 21 | 2 | 4 | 15 | 13:37 | 10 |

**ბომბარდირები:** 14 - ჰარი კეინი (ტოტენჰემი), პიერ-ემერიკ ობამეიანგი (არსენალი); 13 - მოჰამედ სალაჰი (ლივერპული); 10 - ედენ აზარი (ჩელსი); 9 - რაჰიმ სტერლინგი (მანჩესტერ სიტი), რიჩარლისონი (ევერტონი), სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), კალუმ უილსონი (ბორნმუთი).

**მომდევნო ტური**

12 იანვარი: **ვესტ ჰემი-არსენალი, ბრაიტონი-ლივერპული, ბარნლი-ფულჰემი, კარდიფი-ჰადერსფილდი, კრისტალ პალასი-უოტფორდი, ლესტერი-საუთჰემპტონი, ჩელსი-ნიუკასლი**

13 იანვარი: **ევერტონი-ბორნმუთი, ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი**

14 იანვარი: **მანჩესტერ სიტი-ვულვზი**

## ამბები

### აკპოგუმა ჰანოვერში წავიდა

"ჰოფენჰაიმის" უკანახაზელი **კევინ აკპოგუმა** იჯარის წესით "ჰანოვერში" ითამაშებს. გარიგება ოფიციალურად მას შემდეგ დადასტურდა, რაც ამის თაობაზე "ჰანოვერის" ოფიციალურმა საიტმა დაწერა. ეს ფეხბურთელი ადრე "დიუსელდორფში" გახლდათ განათხოვრებული. აკპოგუმა სხვადასხვა დროს გერმანიის ყველა ასაკობრივი ნაკრების ფეხბურთელი გახლდათ.

### ბარსელონამ რაბიოს განცხადებით უპასუხა

"ბარსელონამ" ოფიციალური განცხადება გაავრცელა იმის თაობაზე, რომ არ შეთანხმებია "პარი სენ-ჟერმენის" ცენტრალურ ნახევარმცველ **ადრიან რაბიოს**. შესაბამისად, კლუბს არ დაურღვევია ფიფას წესდება ტრანსფერების თაობაზე. ბოლო დროს აქტიურად იწერებოდა იმის თაობაზე, თითქოს, კატალონიელები ფეხბურთელს შეუთანხმდნენ. "პარი სენ-ჟერმენის" სპორტულმა დირექტორმა **ენრიკე ანტერომ** კი თქვა, რომ ამ შეთანხმებით კატალონიელებმა ფიფას წესდება დაარღვიეს.

იქამდე არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია რაბიოსა და კატალონიური კლუბის მოლაპარაკებაზე. ვითომდა, ფეხბურთელის ინტერესებს იცავდა დედა, ვინც "ბარსასგან" ბონუსების სახით ითხოვდა გარკვეულ თანხას. სხვათა შორის, ცნობილია, რომ რაბიოს იდეალური ურთიერთობა სულაც არ აქვს "პარი სენ-ჟერმენის" ხელმძღვანელობასთან.

### მილანი და მურიელი თითქოს გადაწყდა, მაგრამ...

გადაწყვეტილი ამბავი გვეგონა, რომ კოლუმბიის ნაკრებისა და "სევილიას" შემტევი **ლუის მურიელი** იჯარის წესით ითამაშებდა "მილანში". ფეხბურთელის დამატება უშუალოდ მილანელთა დამრიგებლის, **ჯენარო გატუზოს** ინიციატივაა. მიმდინარე სეზონში მურიელმა 19 შეხვედრა ჩაატარა ანდალუსიელთა რიგებში და 4 გოლი შეაგდო. უცბად რადარზე გამოჩნდა "ფიორენტინა" და ახლა ფეხბურთელს არჩევანის გაკეთება მოუწევს.

### ბორინი შენჟიენში ითამაშებს

"ფუტბოლ იტალიას" ინფორმაციით, **ფაბიო ბორინი** კარიერას ჩინეთში გააგრძელებს, სადაც "შენჟიენის" მაისურას მოირგებს. 27 წლის ფორვარდი წელიწადში 5 მილიონ ევროს მიიღებს. რა თქმა უნდა, ეს ტრანსფერი ვერ შედგებოდა, ჩინელებს ბორინი ფულით რომ არ მოეხიბლათ.

ის "მილანში" გასულ ზაფხულს მივიდა "სანდერლენდიდან". ინგლისურმა კლუბმა ფეხბურთელის სანაცვლოდ 5,5 მილიონი ევრო მიიღო. მიმდინარე სეზონში ბორინი იშვიათად ხვდებოდა "როსონერის" შემადგენლობაში, სადაც 12 შეხვედრა ჩაატარა და 1 გოლი შეაგდო.

### ჰამშიკი: ჩემპიონობა შეგვიძლია!

სერია A-ში ახლა შესვენებაა. "ნაპოლი" მეორე ადგილზეა და თითქოს მისდევს "იუვენტუსს", თუმცა ქულებს შორის სხვაობა სოლიდურია - 9. "ნაპოლის" სლოვაკმა ლიდერმა **მარეკ ჰამშიკმა** თქვა, რომ გუნდს სკუდეტოს მოგება შეუძლია.

*"ჩვენ ახლა შესანიშნავ ფეხბურთს ვთამაშობთ. ძალიან ვწუხვართ ყველა იმის გამო, რომ ჩემპიონთა ლიგას ნაადრევად გამოვეთიშეთ. არადა, ლიგაზეც კარგ ფეხბურთს ვაჩვენებდით. ახლა ჩვენი მიზანია, მაქსიმალური შედეგი დავაფიქსიროთ ევროპალიგაზე. ეს შეგვიძლია. ასევე მინდა ვთქვა, რომ სკუდეტოს ბედი არაა გადაწყვეტილი და ჩვენ ბოლომდე ვაპირებთ ბრძოლას"*, - თქვა ჰამშიკმა.

### ისკო არსად მიდის

"რეალის" ვარსკვლავმა **ისკომ** განაცხადა, რომ გუნდის გამოცვლას არ აპირებს. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ცნობა, რომ მას კონფლიქტი ჰქონდა კლუბის მთავარ მწვრთნელთან, სანტიაგო სოლარისთან. ისკოს უმალ გამოუჩნდნენ მსურველები. მათ შორის ყველაზე მეტად "სიტი" აქტიურობდა. "არსად წასვლას არ ვაპირებ. "რეალში" ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა, რომ ამ გუნდთან ერთად რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგო", - თქვა ისკომ as-თან საუბრისას.

### 35 მილიონი კუამეს სანაცვლოდ

"ნაპოლი" მზადაა, 35 მილიონი გირვანქა გადაიხადოს "ჯენოას" 21 წლის "ვინგერ" **კრისტიან კუამეში**. კუამე ამ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფეხბურთელია იტალიის ჩემპიონატში. მისი შეძენა ასევე უნდათ "რომას", "ვალენსიასა" და "მილანს". "ნაპოლი" იანვარში გეგმავს კოტდივუარელი შემტევის შეძენას, მაგრამ განზრახული აქვს, ფეხბურთელი ისევ გენუელთა რიგებში დატოვოს იჯარით სეზონის ბოლომდე.

### გოლოვინი რჩება

**ალექსანდრ გოლოვინი** დიდი იმედებით გადავიდა "მონაკოში", მაგრამ რუსეთის ნაკრების ლიდერმა სამთავროს გუნდში საკუთარი თავი ვერ იპოვა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ გოლოვინი გუნდს ტოვებს და მისით დაინტერესებულია ინგლისური პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი. ფეხბურთელის აგენტ **ოლეგ არტიომოვის** თქმით, მისი კლიენტი არსად წასვლას აპირებს. ის გუნდში ბედნიერია და ეცდება, საკუთარი წვლილი შეიტანოს მის წარმატებაში.

### ლევანდოვსკი: 100 პროცენტით ბაიერნზე...

"ბაიერნის" პოლონელმა ვარსკვლავმა, **რობერტ ლევანდოვსკიმ** განაცხადა, რომ "ბაიერნიდან" წასვლას არ აპირებს. ის კი არა, სურს, დიდი ხნის განმავლობაში დაიცვას "რეკორდმაისტერის" ღირსება.

*"უნდა ვაღიარო, რომ ზაფხულამდე მქონდა გუნდის დატოვების სურვილი. ახლა ეს სურვილი აღარ არსებობს და ის უკვალოდ არის გამქრალი. მინდა დავრჩე გუნდში რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში. ახლა 100 პროცენტით მხოლოდ "ბაიერნზე" ვარ კონცენტრირებული"*, - თქვა ლევანდოვსკიმ.

გვერდი მოამზადა **ალეკო კაკაურიძემ**

# რით გვახსოვს 2018?







**2018 წელს მსოფლიო ფეხბურთში არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. რითი დაგვამახსოვრდება გასული წელი? ჩვენი მოკლე ისტორიული ექსკურსი მთავარი მოვლენების აღდგენაში დაგვეხმარება...**



## ფრანგული ტრიუმფი

საფრანგეთის ნაკრები - არც ისეთი თვალისმომჭრელი სათამაშო სტილით, უფრო პითონივით, რომელიც გგუდავს და მერე ხელ-ფეხი გახსნილი აქვს. ასეთი იყო **დიდიე დეშამის** საფრანგეთი, რომელიც 20-წლიანი პაუზის შემდეგ მეორედ ავიდა მსოფლიო ფეხბურთის ოლიმპიზე.

## როცა ინგლისი პენალტების სერიას იგებს

ყველგან ლუდი და ცრემლები! მაშინ ზოგიერთმა გულშემატკივარმა იფიქრა, რომ ფეხბურთი შინ ბრუნდებოდა. ინგლისმა თერთმეტმეტრიანების სერიაში დასცა კოლუმბია. მთავარი გმირები გახდნენ მეკარე **ჯორდან პიკფორდი** და **ერიკ დაიერი**. ბევრმა იფიქრა, რომ პლანეტის უმთავრესი ჯილდო ფეხბურთის სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა. თუ ისტორიას დავუჯერებთ, ინგლისმა პენალტების სერია ევროპის 2040 წლის ჩემპიონატზე უნდა მოიგოს...

## ჟეზუსის 100-ქულიანი

ამ გოლს **პეპ გვარდიოლა** განსაკუთრებულად ზეიმობდა. "მანჩესტერ სიტის" ფანობამ კი ის ისე აღნიშნა, როგორც თავის დროზე **სერხიო აგუეროს** გოლი, რომელმაც გუნდს ჩემპიონობა მოუტანა მატჩის ბოლო წამზე. ახლა **გაბრიელ ჟეზუსმა** ბოლო წუთზე შეუგდო "საუთჰემპტონს" და "სიტი" პრემიერლიგის ისტორიაში გახდა პირველი გუნდი, რომელმაც 100 ქულას მოუყარა თავი. ეს იყო გუნდის 106-ე გოლი სეზონში და ესეც სარეკორდო მაჩვენებელია.

## სად წავიდა ნოიერი?

გერმანია შოკისმომგვრელად დაემშვიდობა მსოფლიოს ჩემპიონატს. კორეასთან ბოლო შეხვედრის გადარჩენას ბუნდესნაკრები გამალებით ცდილობდა. მატჩის დასრულებას ბევრი არაფერი უკლდა, როცა **მანუელ ნოიერი** შეტევაში გაერთო, ჰიუნ-მინ სონმა კი ყველაფერი დაასრულა. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა რუსული მუნდიალი სამარცხვინოდ დატოვა.

## ლოპეტეგის კაზუსი

რუსული მუნდიალის დაწყებას აღარაფერი უკლდა, როცა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კარისკენ მიუთითა "ფურია როხას" მთავარ მწვრთნელ **ხულიენ ლოპეტეგის**. მიზეზი ყველამ ვიცით - მწვრთნელმა "რეალთან" ისე გააფორმა კონტრაქტი, რომ ესპანური ფეხბურთის მამები საქმის კურსში არ ჩააყენა. ლოპეტეგი შეცვალა ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა, ესპანური ფეხბურთის ლეგენდა **ფერნანდო იერომ**. მისი შეფობით მუნდიალის ერთ-ერთმა ფავორიტმა კარგი ჩიტი ვერ დაიჭირა - მერვედფინალში პენალტებით წააგო მასპინძელ რუსეთთან. თავად ლოპეტეგიმ კი დიდი ხანი ვერ დაყო "სამეფო კლუბის" დამრიგებლის პოსტზე. არადა, მის ხელში ესპანეთის ნაკრებს 20-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა...




## დაუვიწყარი ფინალი

ჩემპიონთა ლიგის დიდებულ ფინალში "რეალმა" 3:1 დაამარცხა "ლივერპული". ამ შეხვედრაში ყველაფერი იყო, რაც საფეხბურთო "თრილერს" შეეფერება. რა თქმა უნდა, ჩვენი მახსოვრობიდან არასოდეს წაიშლება **სერხიო რამოსისა** და **მოჰამედ სალაჰის** ეპიზოდი. ასევე მოწმენი გავხდით თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე სულელური შეცდომისა, რომელიც "ლივერპულის" მეკარე **ლორის კარიუსმა** ჩაიდინა. **გარეთ ბეილი** კი მატჩის მთავარი გმირი გახდა. მაშინ უელსელი უბრად იყო კლუბის ხელმძღვანელობასა და სამწვრთნელო შტაბთან, თამაშით კი ისე ითამაშა, როგორც ნამდვილ სუპერმენს შეჰფერის.



## ყველაფერი მაკრატელადან დაიწყო

ყველას გვახსოვს **კრიშტიანო რონალდოს** ულამაზესი "მაკრატელა", რომელიც "იუვენტუსს" გაუტანა. მოგვიანებით, როცა ის "ბებერ ქალბატონში" გადავიდა, აღიარა, რომ მის გადაწყვეტილებას ხელი ერთმა გარემოებამ გვარიანად შეუწყო - როცა რონალდომ ტურინელებს გაუტანა, იტალიელმა გულშემატკივრებმა მას ტაში დაუკრეს. სხვათა შორის, ინგლისში მოწინააღმდეგე გუნდების ფანებიც კი უკრავენ ტაშს, როცა **ჰარი კეინსა** და **კევინ დე ბრუინს** გააქვთ.



## ოლე მოუს ნაცვლად

18 დეკემბერი ძალიან უცნაური დღე იყო. "მანჩესტერ იუნაიტედს" **ჟოზე მოურინიოს** ხელმძღვანელობით ერთხელაც უნდა ევარჯიშა. პორტუგალიელი მზად იყო, მაგრამ... ის გაათავისუფლეს. მისი ხელმძღვანელობით "იუნაიტედი" ძალიან ცუდი იყო. კლუბის ხელმძღვანელობის მოთმინების ფიალა კი მას შემდეგ აივსო, რაც "წითელმა ეშმაკებმა" 1:3 წააგეს "ლივერპულთან". გუნდი ჩაიბარა "იუნაიტედის" ყოფილმა ვარსკვლავმა, ნორვეგიელმა **ოლე გუნარ სულშერმა**.

## ბრწყინვალე მბაპე

...პირველი თინეიჯერი **პელეს** შემდეგ, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ შეხვედრაში ორჯერ შეაგდო, პირველი თინეიჯერი პელეს შემდეგ, ვინც მუნდიალის ფინალში გაიტანა. მან უკვე მოიგო მუნდიალი და ამით გადაუსწრო **კრიშტიანო რონალდოსა** და **ლიონელ მესის**. ეს თინეიჯერია **კილიან მბაპე**, რომელიც 165,7 მილიონ ევროდ გადავიდა "მონაკოდან" "პარი სენ ჟერმენში". 20 წლის მბაპეს ანგარიშზე ახლა 11 საჩემპიონატო შეხვედრაში 13 გოლია. ევროპის 5 ტოპჩემპიონატში ამაზე მეტი მხოლოდ მესიმ შეაგდო.

## ვენგერი დამთავრდა

ოდესღაც ყველაფერი მთავრდება და "არსენალში" **არსენ ვენგერის** ეპოქაც დასრულდა. საინტერესოა, რომ ბრიტანეთის მოსახლეობის მეოთხედი დაიბადა მას შემდეგ, რაც ვენგერმა "არსენალი" ჩაიბარა. 20 აპრილს ყველაფერი მორჩა. გამოცხადდა, რომ არსენი ინგლისურ გრანდს ტოვებდა. მისი ადგილი კი ესპანელმა **უნაი ემერიმ** დაიკავა. კარგია ტიტულები და განუმეორებელი სათამაშო სტილი, მაგრამ "არსენალს", ალბათ, მართლაც სჭირდებოდა "ახალი სისხლი".

**ალეკო კაკაურიძე**

რაგბი

# ოთარ გიორგაძე წლის საუკეთესო მორაგბეა

**საქართველოს რაგბის კავშირმა 2018 წელი გულშემატკივართან ერთად შეაჯამა და რამდენიმე ნომინაციაში საუკეთესო მორაგბეები დაასახელა.**

2018 წლის საუკეთესო მორაგბედ **ოთარ გიორგაძე** დასახელდა, რომელიც ნაკრების რიგებში ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

საქართველოს ჩემპიონატის - დიდი 10-ის სეზონის საუკეთესო მორაგბე **გიორგი შკინინი** გახდა. ვეტერანმა რეგულარულ სეზონში 23 ლელო დადო და „ლოკომოტივთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონობა იზეიმა.

წლის საუკეთესო მორაგბე ქალი **სალომე მაკასარაშვილი** გახდა, რომელმაც 7-ქალა ნაკრებთან ერთად ევროპის კონფერენც-დივიზიონი მოიგო.

წლის საუკეთესო მორაგბე 7-კაცა რაგბიში **რამაზ ხარაზიშვილი** გახდა.

## სხვა ნომინაციები

წლის საუკეთესო მსაჯი: **ნიკა ამაშუკელი**.

წლის საუკეთესო ლელო: **თამაზ მჭედლიძის** ლელო იტალიასთან.

წლის საუკეთესო მბოჭავი: **გიორგი ცუცქირიძე** - 7 თამაშში 91 ბოჭვა.

წლის შემტევი: **გიორგი კვესელაძე** - 73 შეტევაში ბურთით 503 მეტრი გაირბინა.

წლის მელელოვე: **სანდრო თოდუა** - „ბორჯღალოსნების" კვართით 4 ლელო გაიტანა.

წლის მექულე: **სოსო მათიაშვილი** - 67 ქულა (2 ლელო, 9 გარდასახვა და 13 ჯარიმა).

წლის საუკეთესო მექულე დიდ 10-ში: **მამუკა ნინიძე** - 161 ქულა.




## დიდი 10-ის სიმბოლური

შედგა საქართველოს ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები

დიდი 10, სიმბოლური ნაკრები:15. **ბექა წიკლაური** (ლოკომოტივი), 14. **გიორგი აბრამიძე** (აია), 13. **ზურაბ ძნელაძე** (აია), 12. **გიორგი კვესელაძე** (არმაზი), 11. **გიორგი შკინინი** (ლოკომოტივი), 10. **გიორგი ბაბუნაშვილი** (აია), 9. **გიორგი ბეგაძე** (ლოკომოტივი).

1. **ვახტანგ ქვათაძე** (ლოკომოტივი), 2. **შალვა მამუკაშვილი** (ლოკომოტივი), 3. **ტარიელ დონაძე** (ბათუმი), 4. **დაჩი კოპაძე** (ლოკომოტივი), 5. **გელა შალამბერიძე** (აია), 6. **გურამ შენგელია** (ჯიქი), 7. **გიორგი მჭედლიშვილი** (ჯიქი), 8. **ნიკა სუხაშვილი** (ჯიქი).

**ბესიკ ჯანგავაძე**

ფარიკაობა


სანდრო ბაზაძე

# ბაზაძე საუკეთესოა

საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ 2018 წლის საქართველოს საუკეთესო მოფარიკავედ **სანდრო ბაზაძე** (ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი), საუკეთესო გუნდად კი მოხმალავე ვაჟთა ნაკრები (2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი, რომელიც საერთაშორისო ფედერაციის კლასიფიკაციით მერვეა) დაასახელა.

**ვაჟა დანელია**

რაგბი. ტრავმა

# მჭედლიძის საშინელი ტრავმა

წლის მიწურულს საფრანგეთის ჩემპიონატის, TOP 14-ის მე-13 ტურში **თამაზ მჭედლიძისა** და **გიორგი თეთრაშვილი** „აჟენი" „ლიონს" ესტუმრა და 20:52 დამარცხდა. მჭედლიძემ თამაში მესამე ხაზში დაიწყო, რაც მიმდინარე სეზონში პირველად მოხდა. ქართველმა მორაგბემ მე-9 წუთზე უმძიმესი ტრავმა მიიღო და მოედნიდან სპეციალური მანქანის დახმარებით გაიყვანეს.

ქართველმა მორაგბემ ბარძაყი მოიტეხა. ტრავმის ეპიზოდში მსაჯმა **მაქსიმ შალონმა** შეხვედრა უმალვე შეაჩერა და მოედანზე ექიმებს უხმო. ტრავმის სერიოზულობიდან გამომდინარე, „აჟენის" ექიმებს ლიონის ექიმებიც დაეხმარნენ. მჭედლიძე აპლოდისმენტებით გააცილეს. *„ძალიან ვნერვიულობთ მის გამო!"*, - განაცხადა აჟენის მორაგბემ, **რემი ვეკინმა**.

ქართველი მორაგბე უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან, ტრავმა უფრო მსუბუქი აღმოჩნდა, ვიდრე ექიმები შიშობდნენ, თუმცა თამაზს იძულებითი უქმობა დიდხანს მოუწევს და მისი გამოსვლა მსოფლიოს თასზე კითხვის ნიშნის ქვეშაა.

**ბესიკ ჯანგავაძე**


მჭედლიძე მოედნიდან ასე გაიყვანეს



ქართველი მორაგბე საავადმყოფოდან უკვე გამოწერეს

ფარიკაობა

# მოზარდები თბილისის თასზე

შარშან წლის მიწურულს თბილისის ფარიკაობის ფედერაციის ორგანიზებით მოზარდ მოფარიკავეთა ღია ტურნირი გაიმართა - „თბილისის თასი". შეჯიბრებაში ორი ასაკის გოგონები და ბიჭები მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. უმცროსი ასაკის ნახევარფინალისტებს უფროსებში გამოსვლის უფლება ეძლეოდათ. განსაკუთრებით აჭარის წარმომადგენელმა **ევა აგამიანმა** იყოჩაღა - მან ორივე ასაკში დაშნით ფარიკაობაში პირველი ადგილი დაიკავა. საგულისხმოა, რომ ევას ოჯახი არც ისე დიდი ხანია, რაც უკრაინიდან აჭარაში გადასახლდა. ხმალში **მარი კაკოიშვილმა** და **გურამ რეხვიაშვილმა** უმცროს ასაკში მთავარი პრიზები დაიმსახურეს, ხოლო უფროსებში მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

### კვარცხლბეკი

#### 2003–2004 წლებში დაბადებულნი

##### ხმალი

**გოგონები.** 1.სალომე გოგუა, 2. კატო არჩვაძე, 3. ლიზი ბაციაშვილი (სამივე - თბილისი) და მარი კაკოიშვილი (ქუთაისი); **ბიჭები.** 1.ალექსანდრე ხორხომელიძე (ქუთაისი), 2. ლუკა კუჭუხიძე (აჭარა), 3. ზურა ჯანელიძე, გურამ რეხვიაშვილი (ორივე - თბილისი).

##### რაპირა

**გოგონები.** 1. ნატალია ხარაიშვილი, 2. ლიზა ლხინაძე, 3. ელენე ბორჩხაძე, მარიამ მეგრელიშვილი (ყველა - თბილისი); **ბიჭები,** 1. ნოდარ ბოკერია (თბილისი), 2. ირაკლი მიქელაძე, 3. ლუკა კეჟერაძე, 3. ნიკა კეჟერაძე (სამივე - აჭარა).

##### დაშნა

**გოგონები.** 1. ევა აგამიანი (აჭარა), 2. ტატიანა სვანიძე, 3. ნათია კოჩაშვილი (ორივე - თბილისი), 3. მარიამ ზოიძე (აჭარა); **ბიჭები.** 1. გიორგი დიდია, 2. ზურა ჭავჭანიძე (ორივე - თბილისი), 3. დავით ბალდავაძე, გიორგი ლოსაბერიძე (ქუთაისი).

#### 2005–2007 წლებში დაბადებულნი

##### ხმალი

**გოგონები.** 1.მარი კაკოიშვილი (ქუთაისი), 2. ლიზი ბაციაშვილი (თბილისი), 3.მეგი ალფაიძე (ქუთაისი), ანი მაისურაძე (თბილისი); **ბიჭები.** 1.გურამ რეხვიაშვილი, 2. ლევან აბუაშვილი, 3. ალექსანდრე თავართქილაძე (სამივე - თბილისი), მერაბ ლეჟავა (ქუთაისი).

##### რაპირა

**გოგონები.** 1. ელენე ბორჩხაძე, 2. მარიამ მჭედლიძე, 3. მარიამ მეგრელიშვილი (სამივე - თბილისი), მარიამ ტულუში (აჭარა); **ბიჭები.** 1. გელა წულაძე, 2. ბაჩანა გორჯოლაძე, 3. გიორგი კერესელიძე (სამივე - თბილისი), ნიკა ვეფხვაძე (რუსთავი).

##### დაშნა

**გოგონები.** 1.ევა აგამიანი (აჭარა), 2. ბარბარე მებუკე, 3. თეკლა ქანთარია (თბილისი), 3. ლიზი შეყრილაძე (ზესტაფონი); **ბიჭები.** 1.ლუკა კაჭარავა, 2. ლუკა კოკოჩაშვილი, 3. ლუკა გოქსაძე, 3. ნოე ფანცხავა (ოთხივე - თბილისი).

**ვაჟა დანელია**


თბილისის თასზე

ლეგიონი

# მუხლი... შენგელია ერთი თვე დაისვენებს

ესპანელმა ექიმებმა **თორნიკე შენგელიას** ტრავმირებული მუხლის შესწავლის შემდეგ დაადგინეს - ქართველი ფორვარდი ერთი თვე იუქმებს. მას ტრავმის მოსაშუშებლად და რეაბილიტაციისთვის ოთხი კვირა სჭირდება.

შეგახსენებთ, რომ მან ტრავმა ესპანეთის ჩემპიონატში, რეალთან მატჩში მიიღო. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ესპანური „ბასკონიას" კაპიტანმა „რეალის" წინააღმდეგ მატჩში, ერთ-ერთ ეპიზოდში, შეტევისას, დრიბლინგში ბურთი უკნიდან მეორე მხარეს გადაიტანა, დამცველს წამოედო და მარჯვენა მუხლი იტკინა. თორნიკემ თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო.

არადა, თორნიკე თამაშის იშტაზე იყო, შედეგიანადაც ირჯებოდა და ერთ-ერთ ეპიზოდში ულამაზესადაც ჩატენა. შენგელია თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 15:21 წუთში 10 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა 2-დან 1 ორქულიანი და 8-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, მის წინააღმდეგ კი 4-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგად, ჩვენებურის სარგებლიანობის კოეფიციენტი 18-ს გაუტოლდა და ის ბასკური კლუბის რიგებში მხოლოდ ბრაზილიელ უკანახაზელ **მარსელინიო უერტასს** ჩამორჩა, რომელმაც 24 ქულა ჩააგდო. მატჩი მადრიდელებმა 91:74 მოიგეს, რომელთა რიგებშიც მინიმუმ 12 ქულა სასტარტო ხუთეულის ყველა წევრმა მოაგროვა, არგენტინელი **ფაკუნდო კამპაცო** (15 ქულა, 10 პასი) და კაბოვერდელი **ვალტერ ტავარეში** (14 ქულა, 10 მოხსნა) კი ორმაგ დუბლს გამორჩნენ.


შენგელიასთვის 2019 ცუდად დაიწყო

„ბასკონიას" მეორე ქართველმა ლეგიონერმა **მეტ ჯენინგმა** 25 წუთში 7 ქულა და 2 პასი მიითვალა,

აღსანიშნავია, რომ „ბუესა არენაზე" გამართულ შეხვედრას 15 544 მაყურებელი დაესწრო, რითაც ესპანური ლიგის ყველა დროის რეკორდი იქნა გამეორებული. იდენტური მაჩვენებელი 2015-16 წლების სეზონში დაფიქსირდა და საინტერესოა, რომ მაშინაც „ბასკონია"-"რეალის" ჯახზე.

„ბასკონიას" 10 მოგება და 4 მარცხი მოუგროვდა და ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში **გიორგი შერმადინის** „უნიკახასთან" ერთად, მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს.

შენგელიას გუნდი მომდევნო მატჩს 6 იანვარს, სტუმრად, „მანრესასთან" გამართავს.

ლეგიონი

# ფაჩულიას ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი დეტროიტში


ზაზა ფაჩულიამ მეჯიქთან კარგად ითამაშა

**ზაზა ფაჩულიას** „დეტროიტ პისტონსმა" ერთმანეთის მიყოლებით ორი მატჩი გამართა და ვერც ერთის მოგება ვერ მოახერხა. „პისტონსი" სტუმრად „ორლანდო მეჯიქთან" დრამატულ ბრძოლაში ბოლო წამზე დამარცხდა - 107:109. ხოლო ზაზას ასევე ყოფილ კლუბ „მილუოკი ბაქსთან" 98:121 დათმო.

მილუოკელებთან ზაზას არ უთამაშია, ფეხის მცირე ტრავმა აქვს და მწვრთნელმა მისი გამოყვანა არ გარისკა.

„ორლანდოს" წინააღმდეგ კი ჩინებულად ითამაშა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო „დეტროიტში" გადაბარგების შემდეგ ზაზას ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი. ვეტერანმა ქართველმა პარკეტზე 23 წუთი გაატარა და ხსენებულ დროში 8 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. ფაჩულიამ 5-დან 2 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, ორჯერ კი ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ცენტრი თანაგუნდელთა შორის მოხსნების რაოდენობით მხოლოდ **ანდრე დრემონდს** ჩამორჩა (14 ქულა, 15 მოხსნა), ხოლო შედეგიანი პასებით - **ბლეიქ გრიფინს** (15 ქულა, 5 პასი). აი, ჩაჭრებსა და ბლოკშოტებში „დეტროიტის" რიგებში საუკეთესო მაჩვენებლით დაასრულა შეხვედრა.

„ორლანდოს" რიგებში მონტენეგროელი ცენტრი **ნიკოლა ვუჩევიჩი** გამოირჩა ორმაგი დუბლით (22 ქულა, 11 მოხსნა, 4 პასი). ორმაგი დუბლი გაიფორმა **აარონ გორდონმა** (22 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი).

„დეტროიტი" 16 მოგებითა და 19 წაგებით აღმოსავლეთ კონფერენციაში მერვე პოზიციაზე იმყოფება.

# ბითაძის 12 ქულა ცრვენასთან

პოდგორიცას „ბუდუჩნოსტმა", რომლის ღირსებასაც 19 წლის ქართველი, **გოგა ბითაძე** იცავს, ადრიატიკის ლიგაში ლიდერ „ცრვენა ზვეზდასთან" წააგო. მატჩი ბელგრადში გაიმართა და მესამე პერიოდამდე პოდგორიცელებს არაფერი უჭირდათ. ბოლოსწინა მეოთხედში ბითაძის გუნდი 62:55 იგებდა, თუმცა ბოლო პერიოდი უშედეგოდ ჩაატარა და შეხვედრა 14 ქულით - 72:86 დათმო.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში გახლდათ და 12 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 3 დაფარება მიითვალა. გოგამ 20 წუთში 4-დან 2 ორქულიანი, ერთი სამქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, 4 პერსონალური ფოლი მიიღო და მის წინააღმდეგაც 4-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 15-ს გაუტოლდა და ის სტუმართა რიგებში მხოლოდ ამერიკელ **ნორის კოულს** (21 ქულა) ჩამორჩა. ბელგრადელთა შემადგენლობაში შეუჩერებელი იყო ბერძენი ფორვარდი **სტრატოს პერპეროღლუ**, რომელმაც 23 ქულა ჩააგდო.

„ბუდუჩნოსტს" 8 მოგება და 5 მარცხი მოუგროვდა და ბითაძის ყოფილ კლუბ „მეგა ბემაქსთან" ერთად, მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს. ადრიატიკის ლიგის მოქმედი ჩემპიონი მომდევნო მატჩს 6 იანვარს, შინ, ბოსნიურ „იგოკეასთან" ჩაატარებს.


გოგა ბითაძე ცრვენა ზვეზდას წინააღმდეგ

# მამუკელაშვილის პასი და სეტონ ჰოლმა 76:74 მოიგო

ეფექტური გამარჯვებით დაიწყო კონფერენციის ჩემპიონატი **სანდრო მამუკელაშვილის** „სეტონ ჰოლმა". ნიუორანჟელებმა არასაკონფერენციო მატჩებში საუკეთესო შედეგის მქონე „სეინთ ჯონსს" უმასპინძლეს და საფინალო სირენის თანხლებით ჩაგდებული სამქულიანის წყალობით 76:74 იმარჯვეს.

სეტონჰოლელი „მეკობრეები" საფინალო სირენამდე კი 3 წამით ადრე მეტოქეს ქულით ჩამორჩებოდნენ. ბურთი გვერდითი ხაზიდან შემოიტანეს და მამუკელაშვილს მიაწოდეს. ქართველი ფორვარდი თითქოს ფარისკენ დაიძრა, თუმცა ბურთი პერიმეტრზე მდგარ **შავარ რეინოლდს** გადააწოდა, რომელმაც გამარჯვების სამქულიანი ჩააგდო.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის სტუდენტური ლიგა დეკემბერში იწყება, მანამდე კი, ოქტომბრიდან მოყოლებული, გუნდები სხვა კონფერენციის გუნდებს პრივატულად შედგენილი კალენდრის მიხედვით ხვდებიან. ეს მატჩები მოთელვისმაგვარია კონფერენციის ჩემპიონატის დაწყებამდე, თუმცა თამაშებს ოფიციალური სახე აქვს და მათი შედეგები გუნდებს ცხრილის სათვალავში ეთვლებათ. „სეინთ ჯონსმა" არასაკონფერენციო 12 მატჩიდან ყველა მოიგო და „ბიგ ისტის" კონფერენციის ლიდერი გახლდათ. „სეტონ ჰოლმა" კი აქამდე გამართული 12 შეხვედრიდან 9-ში იმარჯვა.

სანდრო მამუკელაშვილმა „სეინთ ჯონსთან" სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 14 ქულა, 8 მოხსნა, 4 პასი და 2 დაფარება მიითვალა. ქართელმა ფორვარდმა 4-დან 4 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. სანდროსთან ერთად 14-14 ქულა მოაგროვეს მისმა თანაგუნდელებმა - **მაიკლ ნზეიმ** და **ქუინსი მაკნაითმა**, 15 ქულით კი ბომბარდირი **მაილს პოუელი** გახდა.


სანრო მამუკელაშვილმა 14 ქულა ჩააგდოა

10-გუნდიან „ბიგ ისტის" კონფერენციაში გუნდები 18 მატჩს გამართავენ, რის შემდეგაც პლეი ოფში დაწყვილდებიან და კონფერენციის ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. „სეტონ ჰოლი" მორიგ მატჩს 3 იანვარს, სტუმრად „ქსავიერთან" გამართავს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

# შერმადინი VS ბურჯანაძე სან სებასტიანში

**გიორგი შერმადინმა** და **ბექა ბურჯანაძემ** 2018 წელი მაჟორულად დაასრულეს. ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში საქართველოს ნაკრების ამ მოთამაშეების გუნდები ერთმანეთს სან სებასტიანში შეხვდნენ. რა თქმა უნდა, ერთ-ერთის გუნდი წაგებული გამოვიდა, თუმცა ორივე, ბურჯანაძეც და შერმადინიც საკუთარ გუნდში საუკეთესო იყო.

ესპანეთის ლიგის აუტსაიდერმა „დელტეკომ" შერმადინის „უნიკახას" უმასპინძლა და ბოლო პერიოდამდე გაუძალიანდა. მე-4 მეოთხედის დასაწყისში მასპინძლები მხოლოდ 2 ქულით - 74:76-ს აგებდნენ, შემდეგ კი მალაგელთა უპირატესობა აშკარა გახდა და მათ დარჩენილი მონაკვეთი 18:6 მოიგეს და საბოლოოდ 94:80 გაიმარჯვეს.

ბურჯანაძემ მოედანზე 23 წუთი გაატარა და 15 ქულა, 4 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 დაფარება მიითვალა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა 9-დან 6 ორქულიანი და სამივე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ერთხელ დაუფარეს, 3 პერსონალური ფოლი მიიღო და მის წინააღმდეგაც 3-ჯერ დაჯარიმდნენ.

გიორგი შერმადინმა **რობერტსთან** და **ლესოსთან** ერთად 14 ქულა ჩააგდო. ქართველმა ცენტრმა 14 ქულას 6 მოხსნა მიამატა (25 წუთში). მან მაღალი შედეგიანობით ისროლა: 5-დან 4 ორქულიანი, 7-დან 6 საჯარიმო.

„უნიკახამ" 10 მოგება და 4 მარცხი მოაგროვა და მე-4 ადგილზე იმყოფება, „გიპუზკოა ბასკეტს" კი 11 წაგების ფონზე 3 გამარჯვება შერჩა და კვლავაც ბოლო მე-18 პოზიციაზეა. 6 იანვარს მალაგელები ტრავმირებული **თად მაკფადენის** „იბეროსტარ ტენერიფეს" უმასპინძლებენ, ბურჯანაძის გუნდი კი ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ „ბრეოგანს" ესტუმრება.

ჩოგბურთი

# მოგება და მარცხი


ოქსანა კალაშნიკოვა

საქართველოს ჩოგბურთელ ქალთაგან 2019 წლის ტურნირებში პირველი ჩაება თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა.** სეზონის სასტარტო მატჩი მან შენჟენის საერთაშორისო შეჯიბრებაზე (საპრიზო ფონდი 750 ათასი დოლარი) გამართა. ჩვენებური ამჯერად ახალ მეწყვილესთან - 23 წლის რუმინელ **ირინა მარია ბარასთან** ერთად გავიდა კორტზე სააასპარეზოდ. ქართულ-რუმინულმა დუეტმა პირველ წრეში მონტენეგროელ **დანკა კოვინიჩსა** და რუს **იანა სიზიკოვას** აჯობა - 6:3. 6:1. გუშინ მეოთხედფინალში ოქსანა და ირინა მე-2 ნომრად განთესილი ჩინელებს - 32 წლის **შუაი პენსა** და 23 წლის **ჟაოსუან იანს** დაუპირისპირდნენ. აზიელებმა სტარტზე ესპანელი **ხეორხინა გარსია პერესი** და რუსი **ვერონიკა კუდერმეტოვა** ჩამოიშორეს გზიდან - 7:5, 6:4. აზიელებმა მეორე შეხვედრაც მოიგეს - კალაშნიკოვასა და ბარას 6:4, 6:3 სძლიეს. პაექრობა საათსა და 13 წუთს გაგრძელდა. ქართულ-რუმინულმა ტანდემმა 2 ორმაგი შეცდომა დაუშვა და 6-დან 4 ბრეიკპოინტი გამოიყენა, ჩინელები ოთხჯერ შეცდნენ და 11-დან 6 ბრეიკპოინტის რეალიზება შეძლეს.

კალაშნიკოვა შეჯიბრებას გამოეთიშა. მისი ყოფილი მეწყვილე - იაპონელი **ნაო ჰიბინო** კი უკრაინელ **ანჰელინა კალინინასთან** ერთად ნახევარფინალში გავიდა.

ვაჟა **დანელია**

ხელბურთი

# რევაზ ჭანტურია: მოგება არ უნდა გაგვიჭირდეს

ქართველ ხელბურთელებს წლეულს მნიშვნელოვანი პაექრობები ელით. ამჟამად ვაჟთა ეროვნული ნაკრები ევრო 2022-ის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდისთვის ემზადება. 8 გუნდი ორ ჯგუფშია გადანაწილებული. 11-13 იანვარს ითამაშებენ: A ჯგუფში, რომელსაც ლუქსემბურგი უმასპინძლებს: ლუქსემბურგი, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ბულგარეთი, ხოლო B ჯგუფში კვიპროსი, საქართველო, აზერბაიჯანი, მალტა. ქართველი ხელბურთელები მალტაში კოტონერას სასპორტო კომპლექსში სამ შეხვედრას გამართავენ:

**11 იანვარი.** კვიპროსი - აზერბაიჯანი, საქართველო - მალტა

**12 იანვარი.** აზერბაიჯანი - საქართველო, მალტა - კვიპროსი

**13 იანვარი.** კვიპროსი - საქართველო, აზერბაიჯანი - მალტა

მეორე ეტაპი, ანუ პლეი ოფი (შინ სტუმრად) 2020 წლის აპრილშია დაგეგმილი. „ევრო 2022-ის“ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის 2 გამარჯვებული და ჩელენჯ ტროფის ჩემპიონი უწყვილდება ევრო 2020-ის მთავარ საკვალიფიკაციო რაუნდში უარესი შედეგის მქონე 3 გუნდს. ამ წყვილებში გამარჯვებულები მთავარ საკვალიფიკაციო რაუნდში გადიან.

საკვალიფიკაციო ტურნირისთვის საქართველოს ნაკრები თბილისში ემზადება. როგორია გუნდის დღევანდელი შესაძლებლობები, ამის შესახებ გვესაუბრება ნაკრების ვეტერანი წევრი, 36 წლის **რევაზ ჭანტურია,** რომელიც 14 წელიწადია, მაკედონიაში თამაშობს. ამჟამად ქალაქ ბიტოლას „პელისტერის“ ღირსებას იცავს. ჯერ სტუ-ში იყო, მერე - ზაპოროჟიეში (უკრაინა), 2004 წლიდან მაკედონიაშია. აქ რამდენიმე გუნდში მოსინჯა ძალები, კერძოდ, „მეტალურგში“, „ვარდარში“, „სტრუმიცაში“.

საგულისხმოა, რომ რევაზ ჭანტურია უკვე დიპლომიანი მწვრთნელია, მაგრამ მოთამაშის კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობს, საქართველოს ნაკრებში 2001 წლიდანაა.

- მალტაში აზერბაიჯანთან, მალტასა და კვიპროსთან, ვფიქრობ, პრობლემები არ უნდა გვქონდეს. - ამბობს **რევაზ ჭანტურია.** - მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, თუმცა კატეგორიულად რამის თქმა, უბრალოდ, უხერხულია. რეალურად ჩვენს გუნდს და მოთამაშეებს რომ შეხედავ, გაიხსენებ, ბიჭები როგორ გუნდებში თამაშობენ, როგორი სახელბურთო ოჯახი გვაქვს და ნაკრებში როგორი ატმოსფეროა, სხვას ვერაფერს იფიქრებ - უნდა გავიდეთ პლეი ოფში.


უტევს რევაზ ჭანტურია

**- გუნდში შექმნილ ატმოსფეროზე მაინც რას იტყვით?**

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეჯიბრებას ყველანი ჯანმრთელად ვხვდებით. მე და შოთა თევზაძე უკვე ვეტერანები ვართ, მაგრამ ამ ეტაპზე ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა ნამდვილად შეგვიძლია. მაქსიმუმს გავაკეთებთ - ცოდნითა და გამოცდილებით გვერდში დავუდგებით ახალგაზრდებს. ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა ყოველთვის სასურველია, მით უფრო, როცა შესანიშნავი თაობა მოდის: ირაკლი კბილაშვილი, თემურ ორჯონიკიძე, ლექსო წითელაშვილი, გიორგი დიხამინჯია, გიორგი ცხოვრებაძე, რომელი ერთი ჩამოვთვალო. უწინ ცოტანი ვიყავით და მთელი დატვირთვა მოთამაშეების პატარა ჯგუფზე გადადიოდა, ახლა კი სერიოზული, სრულყოფილი გუნდის სახე მივიღეთ. მთავარია, ბიჭებმა საფუძვლიანი შეკრებები გაიარონ, ტურნირებში იასპარეზონ, გამოცდილება შეიძინონ.

**- თქვენს ამპლუაში ახალგაზრდა მოთამაშეები გამოჩნდნენ. მაგალითად, დიხამინჯია. ისიც მაკედონიაში თამაშობს და თქვენ თვალწინაა. „სტრუგაში“ ის საბოლოოდ შუამარბად გადაიყვანეს?**

- გიორგი არის „ცაცია კუთხე“, მაგრამ შუამარბადაც გვევლინება. მას ერთი ძალიან დიდი პლუსი აქვს - დაცვაში მეორე კაცად თამაშობს, რაც ცაცია შუამარბების უმეტესობას არ შეუძლია. ამიტომ მწვრთნელს საშუალება ეძლევა, ქართველი ხელბურთელი შეტევის ფრთაზე ათამაშოს, დაცვაში კი მეორე კაცად დააყენოს. პირდაპირ შემიძლია ვთქვა - დიხამინჯია ძალიან პერსპექტიული მოთამაშეა.

**- მაკედონიის ჩემპიონატში რა მდგომარეობაა?**

- ახლა ძალიან დაძაბულ ეტაპს გავდივართ. თითქმის ყველა წამყვან გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვს. ტრადიციულად ოთხეული უნდა გაირკვეს, რომელსაც შემდეგ „ვარდარი“ და „მეტალურგი“ დაემატება, ჩამოყალიბდება ფინალური ჯგუფი, რომელიც ჩემპიონს გამოავლენს. „ვარდარი“ და „მეტალურგი“ იმდენად ძლიერი გუნდები არიან, რომ დანარჩენები, ფაქტობრივად, მესამე ადგილისთვის ვიბრძვით.

**- სეზონის დასაწყისში „პელისტერიდან“ თემურ ორჯონიკიძე უნგრეთში წავიდა. ეს თქვენი გუნდისთვის დიდი დანაკლისი იყო?**

- ნამდვილად. შემდეგ კი შუა სეზონში მოსულმა ახალმა მწვრთნელმა ბევრი ლეგიონერი უკვე თავად გაუშვა.

**- კონტრაქტის თანახმად „პელისტერში“ კიდევ რამდენი ხანი უნდა დარჩეთ?**

- მაისამდე, მერე კი ვნახოთ. შეიძლება სხვაგან გადავიდე. თუმცა ახლა ამაზე არ ვფიქრობ, რადგან მთავარი მალტაში გასამართავი მატჩებია. ქომაგების გასახარებლად არაფერს დავიშურებთ.

ვაჟა **დანელია**

ძალოსნობა


მედალოსნები მწვრთნელთან ერთად

# 4 ოქრო და 1 ვერცხლი ბაქოდან

**ქართველი ძალოსნებისთვის 2018 წელი უხვმოსავლიანი აღმოჩნდა - მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებში მათ 80-ზე მეტი სხვადასხვა სინჯის ჯილდო მოიხვეჭეს. ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს ჭაბუკებმა, რომლებმაც ქართული ძალოსნობის ყულაბას ახალი წლის შემოსვლამდე ორი დღით ადრე ოთხი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი შემატეს.**

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის - **ზურაბ ანთაურის** ხელმძღვანელობით ბაქოში აზერბაიჯანის ეროვნული გმირის - შახბაზოვის სახელობის ტურნირზე ხუთმა ქართველმა იასპარეზა და ხუთი მედალი მოიპოვა, თან რამდენიმე რეკორდიც დაამყარეს.

აზერბაიჯანულ ფიცარნაგზე პირველი გავიდა **გურამ გიორბელიძე** (67 კგ), რომელმაც 117 კილო აიტაცა, 151 კილო აკრა და ორჭიდში 268 კილოგრამით ოქროს მედალი დაიმსახურა. აკვრაში გიორბელიძემ ჭაბუკთა საქართველოს რეკორდი კილოგრამით გააუმჯობესა, ხოლო ევროპულ სტანდარტს 2 კილოთი გადაამეტა.

მსოფლიოს ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების ვიცეჩემპიონმა **არჩილ მალაყმაძემაც** (73 კგ) ორჭიდში 298 კილოგრამით ოქროს მედალი მოიპოვა. არჩილმა 140 კილოგრამი აიტაცა, ანუ საქართველოს რეკორდზე კილოგრამით, მსოფლიოს სტანდარტზე კი 2 კილოგრამით მეტი. აკვრაში კი 158-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა.

საქართველოს დელეგაციას მესამე ოქროს მედალი ორჭიდში 317 კილოგრამით **ლომია თებიძემ** (81 კგ) მოუტანა. მან 137 კილოგრამი აიტაცა, 180 კილოგრამი კი აკრა, რითაც ამ მოძრაობაში ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა რეკორდი 1 კილოთი გააუმჯობესა, ხოლო ევროპულ სტანდარტს 10 კილოთი გადაამეტა.

თანაგუნდელებს მხარი აუბა **თორნიკე ტაბატაძემაც.** +102 კილოში მას 346 კილოთი უმაღლესი სინჯის მედალი ერგო. თორნიკემ 181 კილო აკრა, 165 კილო აიტაცა და საქართველოს რეკორდი 2 კილოგრამით გააუმჯობესა, მსოფლიო და ევროპულ სტანდარტებზე ეს 3 კილოგრამით მეტია.

ასევე, მძიმე წონაში **აკაკი ტალახაძემ** (+102 კგ) ატაცსა (145 კგ) და აკვრას (184 კგ) კარგად გაართვა თავი და ორჭიდის ჯამში 329 კილოგრამით ვერცხლის მედალი ერგო.

- მასპინძლებმა ასპარეზობისა და დასვენებისთვის შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს, - გვითხრა **ზურაბ ანთაურმა. -** იმის მიუხედავად, რომ ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, ჩვენმა ათლეტებმა წარმატებით იასპარეზეს და ბაქოს ფიცარნაგზე მიღწეული გამარჯვება საქართველოს ძალოსნობის ფედრაციის ტრაგიკულად დაღუპული გენერალური მდივანის - რამაზ გურგენიძის ხსოვნას მიუძღვნეს. ბიჭები შეჯიბრებაზე შავი ბაფთებით გავიდნენ. მასპინძლებმა ტურნირზე გურგენიძის გარდაცვალებას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

ქართველი ჭაბუკი ძალოსნების ბაქოში წარმატება მით უფრო დასაფასებელია, რომ წლის ბოლო ერთ კვირაში მათ მეორედ იასპარეზეს მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირში, თანაც ქვეყნის რამდენიმე რეკორდი გააუმჯობესეს. რაც შეეხება ევროპული სტანდარტების გადამეტებულ შედეგებს, ისინი, სამწუხაროდ, კონტინენტის მიღწევებად არ ჩაითვლება, რადგან ბაქოში გამართული შეჯიბრება საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში არ იყო შეტანილი. ყოველივეს მიუხედავად, მიღწეულით კმაყოფილი ვარ. ტურნირის დამსწრე სპეციალისტებმა ჩვენი ბიჭების ფიზიკური და ტექნიკური მომზადების დონეს მაღალი შეფასება მისცეს.

დარწმუნებული ვარ, რომ 2019 წელს ქართველ ძალოსანთა საერთაშორისო მონაგარი 2018 წლისაზე უკეთესი იქნება.

ვაჟა **დანელია**

ველოსპორტი

# პირველი თანატოლებში, მესამე – უფროსებში

გასული წლის დეკემბერში ჰოლანდის სამ ქალაქში (ამსტერდამი, ალკმაარი, აპელდომი) მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის იან დერქსენის სახელობის პრესტიჟულ სამდღიან საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა ნიჭიერმა თბილისელმა ველოსპრინტერმა **ლუკა ღვარძელაშვილმა** (მწვრთნელი **ალექსი გუჯაბიძე**). ლუკამ ჯამში 15-16 წლიანებს შორის ლიდერობა არავის დაუთმო და პირველი ადგილიც დაისაკუთრა, ელიტარულ ლიგაში (უფროს ასაკი 18-19 წლიანები) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.



ლუკა ღვარძელაშვილი

**„ლელოს“ კორ.**

კრივი

# მეივეზერმა იაპონიაში მოიგო

პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელმა ამერიკელმა მოკრივემ **ფლოიდ მეივეზერმა** საჩვენებელ ორთაბრძოლაში დაამარცხა იაპონელი კიკბოქსიორი **ტენსინ ნასუკავა**.

ამერიკელმა პირველივე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა. ბრძოლა კრივის წესებით იმართებოდა. ჯამში უნდა ჩატარებულიყო სამი სამწუთიანი რაუნდი.

ამ ბრძოლის შედეგი მეივეზერს არ ჩაეთვლება ოფიციალურ სტატისტიკაში.

ფლოიდ მეივეზერმა პროფესიულ რინგზე 50 ორთაბრძოლა გამართა და ყველა მოიგო, მათ შორის, 27 ნოკაუტით. ის ფლობდა საჩემპიონო ქამარს ხუთ წონით კატეგორიაში.

ბრძოლის შემდეგ, ამერიკელმა განაცხადა, რომ მას ნასუკავასთან შეხვედრისთვის არ უვარჯიშია. ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ არ არის აქტიური მოკრივე და რინგზე დაბრუნებას არ აპირებს.

# Ring-მა სეზონი შეაჯამა

ყველაზე პრესტიჟულმა საკრივო ჟურნალმა The Ring-მა 2018 წელი შეაჯამა და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები გამოაცხადა.

წლის მოკრივედ დასახელდა მძიმე წონის წარმომადგენელი, უკრაინელი **ალექსანდრ უსიკი**. მისი და კიდევ ერთი უკრაინელის **ვასილი ლომაჩენკოს** დამრიგებელი **ანატოლი ლომაჩენკო** - წლის მწვრთნელად აღიარეს.

2018 წელს, საუკეთესო ორთაბრძოლად დასახელდა მექსიკელი **საულ ალვარესისა** და ყაზახი **გენადი გოლოვკინის** მატჩ-რევანში. წლის დაბრუნების პრიზი მიიღო ბრიტანელმა **ტაისონ ფიურიმ**. მისი და **დეონტეი უაილდერის** ბრძოლის მე-12 რაუნდი წლის რაუნდად მოინათლა.

სხვა ნომინაციებში გამარჯვებულები:

**წლის ნოკაუტი** - ნაოია ინოუე-ხუან კარლოს პაიანო

**წლის სენსაცია** - კრისტოფერ როსალესი-დაიგო ჰიგა

**წლის აღმოჩენა** - ტეოფილო ლოპესი

**წლის აღმაფრენა** - ბრენდან ინგლი

უფრო ადრე, უსიკი წლის მოკრივედ დასახელდა ESPN-ის, Yahoo! Sport-ისა და Sports Illustrated-ის ვერსიით.



ჩოგბურთი

# დელ პოტრო ავსტრალიას გამოტოვებს

არგენტინელმა ჩოგბურთელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** სოციალური ქსელის მეშვეობით გამოაცხადა, რომ გამოტოვებს 2019 წლის სეზონში „დიდი სლემის" პირველ ტურნირს - ავსტრალიის ღია პირველობას.

*„ყველას ბედნიერ 2019 წელს ვუსურვებ. აღდგენის პროცესი კარგად მიმდინარეობს და მოგვიანებით გაცნობებთ, როდის შედგება კორტზე დაბრუნება. სამწუხაროდ, ეს არ მოხდება ავსტრალიაში. ავსტრალიის ღიას გამოტოვება სამწუხარო მომენტია, მაგრამ კმაყოფილი ვარ აღდგენაში ბოლოდროინდელი პროგრესით"*, - დაწერა დელ პოტრომ.

არგენტინელმა ბოლო ხუთ წელიწადში მხოლოდ ერთხელ ითამაშა მელბურნში.

დელ პოტრო დღეს მსოფლიოს მეხუთე ჩოგანია.

ავსტრალიის ღია პირველობა 14-27 იანვარს გაიმართება.

# აბუ დაბი ჯოკოვიჩმა მოიგო

აბუ დაბიში დასრულდა საჩვენებელი ტურნირი ჩოგბურთში, რომელიც რეიტინგის ლიდერის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** გამარჯვებით დასრულდა. სერბი ფინალში სამხრეთაფრიკელ **კევინ ანდერსონს** ხვდებოდა, რომელმაც წინა დღეს, ნახევარფინალში თითქმის ორი საათი მოანდომა ესპანელი რაფაელ ნადალის დამარცხებას. ჯოკოვიჩმა ამ ეტაპზე ერთ საათში მოუგო რუს **კარენ ხაჩანოვს**.

პირველ სეტში მეტოქეებმა თითო ბრეიკ-პოინტი გამოიმუშავეს. ჯოკოვიჩმა ვერ შეძლო შანსის გამოყენება, ანდერსონმა კი ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და სეტებში დაწინაურება მოახერხა.

მეორე სეტში ბრეიკ-პოინტები მხოლოდ ჯოკოვიჩს ჰქონდა. სერბმა მეორე შანსის გამოყენება მე-12 გეიმში შეძლო და თამაში მესამე სეტში გადავიდა.

გადამწყვეტ პარტიაში პირველი ბრეიკ-პოინტი ანდერსონმა მოიპოვა - მესამე გეიმში მან ეს შანსი გაანიავა. ამის შემდეგ, აფრიკელს დაღლა დაეტყო და ჯოკოვიჩი ზედიზედ იღებდა ბრეიკ-პოინტებს, რომელიც თან მატჩბოლები იყო. მეათე გეიმში ჯოკოვიჩმა სამი მატჩბოლი მიიღო, მაგრამ ანდერსონმა სამივე საფრთხე მოიგერია. მე-12 გეიმში ანდერსონმა მეოთხე მატჩბოლიც გადაარჩინა, მაგრამ ნოვაკმა მეხუთე ცდაზე მაინც შეძლო მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულება.

ორი საათი და 16 წუთი ბრძოლის შემდეგ, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა 4:6, 7:5, 7:5 მოიგო.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ტორონტო-იუტა 122:116**

**26:24, 25:29, 44:32, 27:31**

ტ: ლეონარდი (45), სიაკამი (28+10 მოხსნა), პაუელი (14).

ი: კრაუდერი (30), ფეივორსი (21+9 მოხსნა), მიტჩელი (19), გობერი (16+9 მოხსნა), რუბიო (14+8 პასი).

**მილუოკი-დეტროიტი 121:98**

**35:27, 33:25, 24:21, 29:25**

მ: ლოპესი (25), მიდლტონი (22), ბლედსოუ (18), ანტეტოკუნმპო (15+8 მოხსნა+7 პასი), ბროგდონი (13).

დ: გრიფინი (29+9 მოხსნა), ჯექსონი (19), დრამონდი (15+7 მოხსნა), ტომასი (13).

**საკრამენტო-პორტლენდი 108:113 (ო)**

**25:26, 25:38, 27:19, 26:20, 5:10**

ს: ჰილდი (27), ბოგდან ბოგდანოვიჩი (19), ბიელიცა (14+16 მოხსნა), ფოქსი (13), კოული-სტაინი (5+11 მოხსნა).

პ: ლილარდი (25), ნურკიჩი (24+23 მოხსნა+7 პასი+5 ჩაჭრა+5 დაფარება), კარი (18), მაკოლუმი (16), ამინუ (13+8 მოხსნა), ჰარკლესი (11+9 მოხსნა).

**დენვერი-ნიუ იორკი 115:108**

**28:32, 27:24, 27:28, 33:24**

დ: ბიზლი (23), იოკიჩი (19+14 მოხსნა+15 პასი), მილსეპი (16+9 მოხსნა), კრეიგი (13).

ნ-ი: კორნეტი (19), ნოქსი (18), კანტერი (17+12 მოხსნა), ჰარდუეი (16), მუდიაი (15+9 პასი), ნტილიკინა (10), ვონლე (5+14 მოხსნა).

**კლიპერსი-ფილადელფია 113:119**

**28:41, 30:35, 30:25, 25:18**

კ: უილიამსი (22), გალინარი (21+7 მოხსნა), ჰარისი (21), ჰარელი (20+10 მოხსნა).

ფ: ემბიდი (28+19 მოხსნა), რედიკი (18), ბატლერი (16), სიმონსი (14+9 მოხსნა+8 პასი), მაკონელი (11+4 ჩაჭრა), მუსკალა (10).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მილუოკი | 36 | 26 | 10 | 72.2 |
| 2. ტორონტო | 39 | 28 | 11 | 71.8 |
| 3. ინდიანა | 37 | 25 | 12 | 67.6 |
| 4. ფილადელფია | 38 | 24 | 14 | 63.2 |
| 5. ბოსტონი | 36 | 21 | 15 | 58.3 |
| 6. შარლოტი | 36 | 18 | 18 | 50.0 |
| 7. მაიამი | 35 | 17 | 18 | 48.6 |
| 8. დეტროიტი | 35 | 16 | 19 | 45.7 |
| 9. ბრუკლინი | 38 | 17 | 21 | 44.7 |
| 10. ორლანდო | 36 | 16 | 20 | 44.4 |
| 11. ვაშინგტონი | 37 | 14 | 23 | 37.8 |
| 12. ატლანტა | 36 | 11 | 25 | 30.6 |
| 13. ჩიკაგო | 37 | 10 | 27 | 27.0 |
| 14. ნიუ იორკი | 38 | 9 | 29 | 23.7 |
| 15. კლივლენდი | 37 | 8 | 29 | 21.6 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. დენვერი | 35 | 24 | 11 | 68.6 |
| 2. გ. სტეიტი | 38 | 25 | 13 | 65.8 |
| 3. ოკლაჰომა | 36 | 23 | 13 | 63.9 |
| 4. ჰიუსტონი | 36 | 21 | 15 | 58.3 |
| 5. პორტლენდი | 38 | 22 | 16 | 57.9 |
| 6. კლიპერსი | 37 | 21 | 16 | 56.8 |
| 7. ლეიკერსი | 37 | 21 | 16 | 56.8 |
| 8. სან ანტონიო | 38 | 21 | 17 | 55.3 |
| 9. საკრამენტო | 37 | 19 | 18 | 51.4 |
| 10. მემფისი | 36 | 18 | 18 | 50.0 |
| 11. იუტა | 38 | 18 | 20 | 47.4 |
| 12. დალასი | 36 | 17 | 19 | 47.2 |
| 13. მინესოტა | 37 | 17 | 20 | 45.9 |
| 14. ნიუ ორლეანი | 38 | 17 | 21 | 44.7 |
| 15. ფინიქსი | 38 | 9 | 29 | 23.7 |

შერეული ორთაბრძოლები

# ნურმაგომედოვი-მაკგრეგორი ისევ იქნება?

UFC-ის პრეზიდენტმა **დანა უაიტმა** გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ყველა წინაპირობა არსებობს რუს **ხაბიბ ნურმაგომედოვსა** და ირლანდიელ **კონორ მაკგრეგორს** შორის მატჩ-რევანშის ორგანიზებისთვის.

*„თუ გეგმის მიხედვით ვიმოქმედებთ, ეს ბრძოლა უკვე წელს უნდა გაიმართოს"*, - მოჰყავს უაიტის სიტყვები TMZ Sports-ს.

ამასთან, UFC-ის შეფმა არ გამორიცხა, რომ მაკგრეგორამდე, ნურმაგომედოვმა, შესაძლოა, ბრძოლა ჩაატაროს მჩატე წონაში ტიტულის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტთან. კერძოდ, ლაპარაკია ამერიკელ **ტონი ფერგიუსონზე**.

შეგახსენებთ, რომ 6 ოქტომბერს, ლას ვეგასში UFC229-ის ტურნირზე ხაბიბმა ვადაზე ადრე დაამარცხა მაკგრეგორი მახრჩობელა ილეთით.

ჩოგბურთი

# ნადალმა ბრისბენის ტურნირზე უარი თქვა

მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** არ ითამაშებს ბრისბენში ATP-ის ტურნირზე, რომელიც ამ კვირას მიმდინარეობს. რაფამ მიზეზად ბარძაყის კუნთის დაჭიმვა დაასახელა.

მეორე წრეში ნადალს ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან** უნდა ეთამაშა. ძირითად ბადეში ის იაპონელმა **ტარო დანიელმა** შეცვალა.

ნადალს შარშან, სექტემბრის შემდეგ არ ჩაუტარებია ოფიციალური მატჩი. ახალ სეზონში რაფამ უკვე მოასწრო ერთი შეხვედრის ჩატარება. ეს მოხდა აბუ დაბის საჩვენებელ ტურნირზე, როცა ნახევარფინალი წააგო სამხრეთაფრიკელ **კევინ ანდერსონთან**.

კალათბურთი

# ჯონ უოლი ამ სეზონში ვეღარ ითამაშებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავი, „ვაშინგტონის" გამთამაშებელი **ჯონ უოლი** 2018-19 წლების სეზონის დარჩენილ ნაწილს სრულად გამოტოვებს. მიზეზი მარცხენა მუხლზე დაგეგმილი ოპერაციაა. ამის შესახებ ESPN-მა დაწერა.

აღნიშნავენ, რომ 28 წლის კალათბურთელის აღდგენით პროცესს მინიმუმ ექვსი თვე დასჭირდება. უოლს ქუსლის ტრავმა მთელი წლის განმავლობაში აწუხებდა. ბოლო სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ, ექიმებმა კალათბურთელს ურჩიეს პრობლემა ქირურგიული ჩარევით მოაგვაროს.

მიმდინარე სეზონში უოლის საშუალო სტატისტიკა 20.7 ქულასა და 8.7 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

კრივი

# ჯოშუამ სამი რჩეული დაასახელა

სამი პრესტიჟული ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, ბრიტანელმა სუპერმძიმეწონოსანმა **ენტონი ჯოშუამ** მძიმე წონაში ყველა დროის სამი საუკეთესო მოკრივე დაასახელა.

*„მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა, ჯეკ ჯონსონი, ეჭვგარეშეა, საუკეთესო იყო.*

*მოჰამედ ალი იყენებდა დიდ საკრივო სცენას არა მხოლოდ თავისი ძალისა და სიმძლავრის დასამტკიცებლად, არამედ, იმისთვის, რომ მოეთხრო მთელი საკრივო აუდიტორიისთვის იმ პრობლემებზე, რომელიც იმ მომენტისთვის ამერიკულ საზოგადოებას აწუხებდა. მან ლეგენდის სტატუსს მიაღწია და ჩვენი სპორტის ხატად იქცა.*

*ჩემთვის მესამეა - მაიკ ტაისონი. როცა პირველად წავედი კრივზე, სპორტის ეს სახეობა და ყველაფერი მისი წყალობით შევიყვარე. ის ჩვეულებრივი ბიჭი იყო ბრუკლინიდან, მან გაიარა მოზარდთან დაკავშირებული ყველა პრობლემა. მე წავიკითხე მისი წიგნი. ის ჩემთვის მაგალითია"*, - მოჰყავს ენტონის სიტყვები BoxingScene-ს.

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ჩიკაგო-ბოსტონი 2:4**

**1:1, 1:1, 0:2**

**გოლები**: 1:0 პერლინი-5 (კამპფი-10, სიკურა-3), 1:1 პასტრნაკი-24 (ბერჟერონი-20), 2:1 კაჰუნი-5 (გუსტაფსონი-14, ტეივზი-20), 2:2 ბერჟერონი-13 (პასტრნაკი-26, კრუგი-20), 2:3 კურალი-4 (ვაგნერი-3, გრზელჩიკი-10), 2:4 მარშანი-13 (კრეიჩი-24).

**ნეშვილი-ფილადელფია 4:0**

**0:0, 2:0, 2:0**

**გოლები**: 1:0 კ. სმიტი-11 (ფიალა-15), 2:0 არვიდსონი-10 (ჯოჰანსენი-28, ჰარტმანი-5), 3:0 არვიდსონი-11 (რ. ელისი-14), 4:0 გრიმალდი-3 (რინალდო-2).

**ვეგასი-ლოს ანჯელესი 2:0**

**გოლები**: 1:0 პირი-6 (იკინი-11, შმიდტი-11), 2:0 ტუხი-14 (ენგელანდი-5, პირი-3).

**აღმოსავლეთი**

**ატლანტიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ტამპა ბეი | 40 | 31 | 7 | 2 | 64 |
| 2. ტორონტო | 39 | 26 | 11 | 2 | 54 |
| 3. ბოსტონი | 40 | 22 | 14 | 4 | 48 |
| 4. ბაფალო | 40 | 21 | 13 | 6 | 48 |
| 5. მონრეალი | 40 | 21 | 14 | 5 | 47 |
| 6. ფლორიდა | 38 | 17 | 15 | 6 | 40 |
| 7. დეტროიტი | 41 | 15 | 19 | 7 | 37 |
| 8. ოტავა | 40 | 15 | 21 | 4 | 34 |

**მეტროპოლიტენი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვაშინგტონი | 38 | 24 | 11 | 3 | 51 |
| 2. კოლამბუსი | 39 | 23 | 13 | 3 | 49 |
| 3. პიტსბურგი | 39 | 21 | 12 | 6 | 48 |
| 4. აილენდერსი | 38 | 21 | 13 | 4 | 46 |
| 5. რეინჯერსი | 38 | 17 | 14 | 7 | 41 |
| 6. ნიუ ჯერსი | 38 | 15 | 16 | 7 | 37 |
| 7. კაროლინა | 38 | 16 | 17 | 5 | 37 |
| 8. ფილადელფია | 39 | 15 | 19 | 5 | 35 |

**დასავლეთი**

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვინიპეგი | 39 | 25 | 12 | 2 | 52 |
| 2. ნეშვილი | 41 | 24 | 15 | 2 | 50 |
| 3. კოლორადო | 40 | 19 | 13 | 8 | 46 |
| 4. დალასი | 40 | 20 | 16 | 4 | 44 |
| 5. მინესოტა | 38 | 18 | 17 | 3 | 39 |
| 6. ჩიკაგო | 42 | 15 | 21 | 6 | 36 |
| 7. სტ. ლუისი | 37 | 15 | 18 | 4 | 34 |

**პასიფიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კალგარი | 40 | 24 | 12 | 4 | 52 |
| 2. ვეგასი | 43 | 24 | 15 | 4 | 52 |
| 3. სან ხოსე | 41 | 21 | 13 | 7 | 49 |
| 4. ანაჰაიმი | 41 | 19 | 15 | 7 | 45 |
| 5. ვანკუვერი | 42 | 19 | 19 | 4 | 42 |
| 6. ედმონტონი | 39 | 18 | 18 | 3 | 39 |
| 7. არიზონა | 39 | 17 | 20 | 2 | 36 |
| 8. ლოს ანჯელესი | 41 | 16 | 22 | 3 | 35 |

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| 1. კუჩეროვი (ტამპა ბეი) | 65 (19+46) |
| 2. რანტანენი (კოლორადო) | 62 (17+45) |
| 3. მაკინონი (კოლორადო) | 59 (24+35) |
| 4. მაკდევიდი (ედმონტონი) | 58 (21+37) |
| 5. ჯ. გოდრო (კალგარი) | 55 (21+34) |
| 6. მარნერი (ტორონტო) | 53 (13+40) |
| 7. პოინტი (ტამპა ბეი) | 52 (23+29) |
| 8. პასტრნაკი (ბოსტონი) | 50 (24+26) |
| 9. პ. კეინი (ჩიკაგო) | 50 (22+28) |
| 10. ვილერი (ვინიპეგი) | 50 (6+44) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| 1. ოვეჩკინი (ვაშინგტონი) | 29 |
| 2. სკინერი (ბაფალო) | 26 |
| 2. ტავარესი (ტორონტო) | 26 |
| 4. ატკინსონი (კოლამბუსი) | 24 |
| 4. პასტრნაკი (ბოსტონი) | 24 |
| 4. ლანდესკოგი (კოლორადო) | 24 |
| 4. მაკინონი (კოლორადო) | 24 |
| 4. ლაინე (ვინიპეგი) | 24 |
| 9. პაველსკი (სან ხოსე) | 23 |
| 9. პოინტი (ტამპა ბეი) | 23 |

**პასები**

| | |
|---|---|
| 1. კუჩეროვი (ტამპა ბეი) | 46 |
| 2. რანტანენი (კოლორადო) | 45 |
| 3. ვილერი (ვინიპეგი) | 44 |
| 4. მარნერი (ტორონტო) | 40 |
| 5. მაკდევიდი (ედმონტონი) | 37 |
| 6. მაკინონი (კოლორადო) | 35 |

# რა? სად? როდის?

## იანვარის მთავარი სპორტული მოვლენები

| 5-1 თებერვალი | 10-27 იანვარი | 14-27 იანვარი | 21-27 იანვარი |
|---|---|---|---|
| **ფეხბურთი** | **ხელბურთი** | **ჩოგბურთი** | **ფიგურული ციგურაობა** |
| აზიის თასი 2019 | მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები | ავსტრალიის ღია პირველობა | ევროპის ჩემპიონატი |
| საამიროები | დანია/გერმანია | მელბურნი | მინსკი. ბელარუსი |

| | |
|---|---|
| 31-5 იანვარი | ჩოგბურთი. ATP250. დოჰა. ყატარი |
| 31-5 იანვარი | ჩოგბურთი. ATP250. პუნე. ინდოეთი |
| 31-6 იანვარი | ჩოგბურთი. ATP250. ბრისბენი. ავსტრალია |
| 31-6 იანვარი | ჩოგბურთი. WTA (Premier). ბრისბენი. ავსტრალია |
| 31-6 იანვარი | ჩოგბურთი. WTA (International). შენჟენი. ჩინეთი |
| 31-6 იანვარი | ჩოგბურთი. WTA (International). ოკლენდი. ზელანდია |
| 1 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. კაცები. ოსლო. ნორვეგია |
| 1 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. ქალები. ოსლო. ნორვეგია |
| 5-1 თებერვალი | ფეხბურთი. აზიის თასი 2019. საამიროები |
| 5 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. ქალები. ზაგრები. ხორვატია |
| 6 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. კაცები. ზაგრები. ხორვატია |
| 6-12 იანვარი | ჩოგბურთი. ATP250. სიდნეი. ავსტრალია |
| 6-12 იანვარი | ჩოგბურთი. ATP250. ოკლენდი. ზელანდია |
| 7-12 იანვარი | ჩოგბურთი. WTA (Premier). სიდნეი. ავსტრალია |
| 7-12 იანვარი | ჩოგბურთი. WTA (International). ჰობარტი. ავსტრალია |
| 7-17 იანვარი | რალი-რეიდი. დაკარი 2019. პერუ |
| 8 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. ქალები. ფლახაუ. ავსტრია |
| 10-13 იანვარი | ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ობერჰოფი. გერმანია |
| 10-27 იანვარი | ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. დანია/გერმანია |
| 11 იანვარი | სკელეტონი. ევროპის ჩემპიონატი. კიონიგზეე. გერმანია |

| | |
|---|---|
| 11-13 იანვარი | ციგურებით რბენა. ევროპის ჩემპიონატი. კოლალბო. იტალია |
| 11-13 იანვარი | შორტ-ტრეკი. ევროპის ჩემპიონატი. დორდრეჰტი. ჰოლანდია |
| 12-13 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. კაცები. ადელბოდენი. შვეიცარია |
| 12-13 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. ქალები. სტ. ანტონი. ავსტრია |
| 12-13 იანვარი | ბობსლეი. ევროპის ჩემპიონატი. კიონიგზეე. გერმანია |
| 13-20 იანვარი | სნუკერი. მასტერსი 2019. ინგლისი |
| 14-27 იანვარი | ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი |
| 15 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. ქალები. კრონპლატცი. იტალია |
| 16-20 იანვარი | ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რუპოლდინგი. გერმანია |
| 18-20 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. კაცები. ვენგენი. შვეიცარია |
| 19-20 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. ქალები. კორტინა დ'ამპეცო. იტალია |
| 21-27 იანვარი | ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი. მინსკი. ბელარუსი |
| 24-27 იანვარი | ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ანტოლც-ანტერსელვა. იტალია |
| 24-27 იანვარი | კლასიკური რალი. I ეტაპი. მონტე კარლოს რალი |
| 25-27 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. კაცები. კიტცბუელი. ავსტრია |
| 25-27 იანვარი | ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვინტერბერგი. გერმანია |
| 26-27 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. ქალები. გარმიში. გერმანია |
| 28-3 თებერვალი | ჩოგბურთი. WTA (Premier). სტ. პეტერბურგი. რუსეთი |
| 28-3 თებერვალი | ჩოგბურთი. WTA (International). ჰუა ჰინი. ტაილანდი |
| 29 იანვარი | სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი. კაცები. შლადმინგი. ავსტრია |

ჩოგბურთი

# ორი მოგება ახალ სეზონში

## ბასილაშვილი უკვე TOP 20-შია შესული

ახალი წლის პირველ კვირას, ყატარის დედაქალაქ დოჰაში ATP-ის ტურნირი მიმდინარეობს. პირველივე სათამაშო დღეს, ახალი სეზონი გახსნა მსოფლიოს 21-ე ჩოგანმა, ქართველმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა**. ის რეიტინგის 65-ე ნომერს, ესპანელ **ალბერტ რამოსს** ხვდებოდა.

პირველ სეტში რამოსმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს. ბასილაშვილს ესპანელის ყველა გეიმში ჰქონდა ბრეიკ-პოინტები, ჯამში ხუთი ასეთი შანსი მიიღო და ორი გამოიყენა - 6:1.

მეორე პარტიაში რამოსმა ჯერ გაათანაბრა თამაში, მეოთხე გეიმში კი თავისი პირველი ბრეიკი შეასრულა, ბასილაშვილს იქვე შეეძლო უკუბრეიკის შესრულება, მაგრამ ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა და მალე მეორედ წააგო საკუთარი მოწოდება. ესპანელმა სრულფასოვანი რევანში აიღო - 6:1, გადამწყვეტი სეტი ბასილაშვილის ინიციატივით დაიწყო, მაგრამ ქართველმა ვერ შეძლო 18-გათამაშებიან გეიმში სამი ბრეიკ-პოინტის გამოყენება. მომდევნო გეიმში უკვე თავად მოუწია ორი ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ. ამის შემდეგ, ბასილაშვილი ისევ სრულ უპირატესობას დაეუფლა, ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და სეზონში პირველი მატჩი საათსა და 40 წუთში მოიგო - 6:1, 1:6, 6:1.

■ ■ ■

გუშინ, ბასილაშვილი მერვედფინალში 21 წლის რუსს, მსოფლიოს 68-ე ჩოგანს **ანდრეი რუბლიოვსაც** გაუმკლავდა - 6:3, 6:4. შეხვედრა საათი და ორი წუთი გაგრძელდა.

პირველ სეტში გათამაშებული ცხრა გეიმიდან ხუთში ბრეიკი დაფიქსირდა. პირველ ექვს გეიმში ბასილაშვილმა სამჯერ აიღო მეტოქის მოწოდება და 5:1 დაწინაურდა. ამის შემდეგ, რუბლიოვმა შეძლო გაბრძოლება და ზედიზედ ორი გეიმის აღება, თუმცა, ქართველმა 5:3-ზე სეტზე წოდება მოახერხა.

მეორე სეტში ჩოგბურთელებმა დაალაგეს თამაში საკუთარ მოწოდებაზე. პარტიის პირველ ნახევარში მეტოქეებმა თითო ბრეიკ-პოინტი გაცვალეს. რუბლიოვმა შანსი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, ბასილაშვილმა გააკეთა ბრეიკი და ბოლომდე შეინარჩუნა ეს უპირატესობა, რამაც მეოთხედფინალის საგზური მოუტანა.

მეოთხედფინალში ნიკას მსოფლიოს პირველი ჩოგანი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ელოდება, რომელმაც მერვედფინალში რთულ ბრძოლაში მოუგო უნგრელ **მარტონ ფუჩოვიჩს** - 4:6 6:4 6:1. ნიკა და ნოვაკი მეორედ შეხვდებიან პროფესიულ ტურში. შარშან, ისინი რომის „მასტერსში“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინ სერბმა ორ სეტში მოიგო - 6:4, 6:2.

ორშაბათიდან, ბასილაშვილი აუცილებლად მოხვდება ATP-ის კლასიფიკაციის TOP20-ში - პირველად მის კარიერაში.



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
ISSN 2233-3827

დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში
238 84 44; 599 55 48 97

მთავარი რედაქტორი პაატა გელაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);**
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-18), პაატა გელაშვილი (2018-დან)**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55

ტელეფონი: **238 84 44; 238 74 44 (რედაქცია).** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70;** გაზეთის გამოწერა: **238 26 73.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: 237 50 03; ადგილზე მიტანა უფასოა!**